გილოცავთ შობას!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba
akhalitaoba.ge

„19 წლის ფეხბურთელი მიშო ახლოური ძმამ ტელევიზორის გამო მოკლა“ გვ.5



ხუთშაბათი, 7 იანვარი, 2021 №3 (8532) ფასი: 60 თეთრი

# „ელენე ხოშტარია პარლამენტში შევა“



Mzia Saganelidze (RFE/RL)

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა თავიანთი მანდატები ბიზნესმენებზე გაყიდეს“

გვ.3



ლადო სადღობელაშვილი: „ფრიდონ ინჯია კახა კალაძის კაცია“

## სერგო ჩიხლაძე: „ამ ეტაპზე საველე ჰოსპიტლის აუცილებლობა არ არის, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ“



გვ.2

„სტუდენტებისა და პენსიაზე გასული სამედიცინო პერსონალის მობილიზებით სერიოზული რესურსი ვერ შეიქმნება“

ლევან ალაფიშვილი: „კიდევ არის შანსი, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური პროცესი გადარჩეს“



გვ.3

## „ხელისუფლება კომპრომისზე თუ არ წავა, შემოდგომაზე მისი დასასრული გარდაუვალია“

## ვახტანგ მაისაია: „ამერიკა ჩვენი უსაფრთხოების გარანტ-სახელმწიფოდ რჩება“ გვ.4



## სოსო შატბერაშვილი: „პარლამენტის მანდატებზე უარის თქმა დიდი სისულელეა“

გვ.4





## „ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა 30 წლის კლიენტი ქალი სექსუალურად შეავიწროვა“ გვ.5

ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 „პირადად თქვენ გეკუთვნით გამარჯვებულის ლავრა“
ივერი მელაშვილმა ბიძინა ივანიშვილს ახალი წელი მიულოცა

4 მაკრონმა ივანიშვილს საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი მიანიჭა

5 „დაჭრა 2 მოქალაქე, მათ ახლობლებს მანქანით დაედევნა და ქობულეთში დაცხრილა“
პოლიციამ ა.ა. დააკავა

6 სომხეთის პრეზიდენტს კორონავირუსი აღმოაჩნდა

# სერგო ჩიხლაძე: „ამ ეტაპზე საველე ჰოსპიტლის აუცილებლობა არ არის, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ“

## „სტუდენტებისა და პენსიაზე გასული სამედიცინო პერსონალის მობილიზებით სერიოზული რესურსი ვერ შეიქმნება“

იაგო ნაცვლიშვილი

**კლინიკების ასოციაცია განცხადებას ავრცელებს და აცხადებს, რომ საქართველო კორონავირუსის მესამე ტალღას ვერ გაუმკლავდება. ის მთავრობას საველე ჰოსპიტლების მომზადებისკენ მოუწოდებს და მიმართავს, რომ კარდაკარის პრინციპით მოსახლეობის საყოველთაო ტესტირება დაიწყოს.**

**ოქტომბერ-ნოემბერში გამოჩნდა, რომ ჩვენი ჯანდაცვის სისტემა სრულიად მოუმზადებელი შეხვდა მეორე ტალღას. ნათქვამია, ჭკვიანები სხვის შეცდომაზე სწავლობენო, მაგრამ ჩვენ ვერც იტალიისა და ესპანეთის და ვერც ბრიტანეთის შეცდომებზე ვისწავლეთ. შესაძლებელია თუ არა, რომ საკუთარ შეცდომებზე მაინც ვისწავლით? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი ჯანდაცვის საკითხებში, „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი სერგო ჩიხლაძე საუბრობს.**

***— კლინიკების ასოციაციამ გაავრცელა განცხადება კოვიდთან დაკავშირებით. რთული ფონი რომ იყო, ისედაც ვიცოდით, მაგრამ ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. დავინახეთ, რომ მეორე ტალღას სრულიად მოუმზადებლები შევხვდით. რა მოლოდინი გაქვთ, ჩვენივე შეცდომების გათვალისწინება ახლა მაინც მოხდება?***

— არ ვიცი, როდის იქნება მესამე ტალღა და არ ვიცი, რა იგულისხმება მესამე ტალღაში, მაგრამ ჯერ კიდევ დარტყმის ქვეშ ვართ და რეალურად პირველი ტალღა ეს იყო. გაზაფხულზე ჩვენ არ გვინახავს, ეს იყო შეკავება, არანაირი ტალღა არ გვქონია, მაგრამ ნებისმიერ ვითარებაში ჯანდაცვის მხრივ მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და ეს დაგვანახა განვლილმა თვეებმა, განსაკუთრებით სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბრის პერიოდმა. სახელმწიფო და ჯანდაცვის სექტორი კორონავირუსის მორიგი დარტყმისთვის არასათანადოდ მოემზადა. ახლა ვიმყოფებით მკაცრი ლოკდაუნის პირობებში და ეს გამოყენებული უნდა ყოფილიყო ზუსტად ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებისთვის.

ყველა ვთანხმდებით — ხელისუფლება, ოპოზიცია, ექსპერტები, რომ ეს არის დიდი დარტყმა ქვეყნის ეკონომიკისთვის. სხვათა შორის, ჯანდაცვაც ეკონომიკის ნაწილია. დავკეტეთ ბევრი ბიზნესკომპანია, ასობით ათასი ადამიანი სამსახურის გარეშე დარჩა და ამ მსხვერპლზე როდესაც წავედით, პარალელურად იმისთვის წავედით, რომ ჯანდაცვის სისტემა გაძლიერებულიყო და ქვეყანა უკეთესად მომზადებულიყო. სამწუხაროდ, ეს მწყობრი გეგმა არ იყო — რას ვაკეთებთ ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებისთვის, რას ვაკეთებთ ტესტირება— დიაგნოსტიკისთვის, ჰოსპიტალური სექტორის მიმართულებით, პირველადი ჯანდაცვის მხრივ, ექიმების დაცვის თვალსაზრისით, მარაგების შევსების მხრივ და ა.შ. ასეთი გეგმა მთავრობამ არ წარმოადგინა და დღემდე არ აქვს რიცხვებით გაწერილი ინდიკატორები,



თუ რაზე უნდა გამკაცრდეს ღონისძიებები და რაზე უნდა შემცირდეს.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ გადაწყვეტილებები მიიღება ქაოტურად და არა კარგად გათვლილი გეგმით?***

— რა თქმა უნდა. მარტიდან ვამბობთ, რომ გადაწყვეტილებების მიღება ხდება ქაოტურად და მწყობრი გეგმის გარეშე. არ გვაქვს მწყობრი გეგმა, რომელსაც გაჰყვება ჯანდაცვის სისტემა და მთლიანად მთავრობა. მათ შორის ქაოტურად ხდება თავისივე ნათქვამი გადაწყვეტილებების შეცვლა იმავე ვადებთან დაკავშირებით, რაღაცას გავამკაცრებ, რაღაცას მოვხსნიო. ამასაც კი არ მიჰყვებიან. ეს არის ზუსტად ის, რომ არ ხდება დაგეგმარება და პროგნოზირება.

***— დავინახეთ, რომ არჩევნებზე იყო სწორება. გარდა იმისა, რომ საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგს მოარგეს, ამის მიღმაც კიდევ ვერ იაზრებენ რაღაცებს?***

— კი ბატონო, ზუსტად პოლიტიკური დღის წესრიგი იყო, რის გამოც აფეთქდა სიტუაცია. მოხდა აჭარის რეგიონის აფეთქება და უნდა მომხდარიყო მისი ლოკალიზება. ადგილობრივი ლოკდაუნი რომ გამოცხადებულიყო, მნიშვნელოვანწილად გამარტივდებოდა პროცესის მართვა და მთელ საქართველოში არ აფეთქდებოდა სიტუაცია, შესაბამისად, ყოველდღიურად 5-10 ათასი შემთხვევა არ გვექნებოდა, ან თუნდაც, როდესაც ხელისუფლებამ დაინახა, რომ ყოველდღიური რიცხვი ათასს გადასცდა, შეიძლებოდა არჩევნების გაზაფხულზე გადატანა. ეს არის ზუსტად პოლიტიკური შემადგენელი ნაწილი. არ აწყობდათ პოლიტიკურად და ამიტომაც გაგვექცა ხელიდან.

მეორეა ის, რომ არაეფექტური მენეჯმენტია და ამაზე მარტიდან ვსაუბრობთ. საექსპერტო წრეებმაც, პოლიტიკური პლატფორმებიდანაც მივაწოდეთ სხვადასხვა გეგმა, რაც გათვალისწინებული არ იყო. მთავრობას თვითონ არ ჰქონდა გეგმა და სხვებისაც არ ჰქონდა, მაგრამ, ასეთიც რომ ჰქონდეს, მას ვერ განახორციელებს, რადგან მისი მართვის სერიოზული დეფიციტია მთავრობაში. ჩვენ მარტო არ ვაკრიტიკებთ, გეგმებსაც ვთავაზობთ, მაგრამ ცუდი მენეჯმენტის გამო ამის განხორციელებაც ვერ ხდება.

***— არასდროს ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ თქვენ, როგორც ჯანდაცვის ექსპერტი, მიეწვიეთ და თუნდაც მოესმინათ მაინც თქვენი ხედვა?***

— არა. როგორც გახსოვთ, „სტრატეგია აღმაშენებელმა“ მარტ-აპრილის პერიოდში 4 გეგმა შესთავაზა — ტესტირება-დიაგნოსტირებაზე, საზღვრების გახსნაზე, ეკონომიკის ამოქმედებაზე, სამედიცინო ინფრასტრუქტურის აწყობაზე, მაგრამ არც ერთი არ გაითვალისწინეს. მერე მე უკვე, როგორც ჯანდაცვის სპეციალისტმა, სხვა სპეციალისტებთან ერთად არაპოლიტიკური პლატფორმიდანაც შევთავაზე 7 სხვადასხვა გეგმა აპრილ-აგვისტოს პერიოდში და არც ერთი არ იყო გათვალისწინებული.

როგორც გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ ფასადურად მოხდა რამდენიმე სპეციალისტის ჩართვა საკოორდინაციო საბჭოში, იმ სპეციალისტების, რომლებსაც მთავრობა დღე და ღამე ლანძღავდა. დავინახეთ, რომ ბოლოს ჩართეს, თუმცა ესეც ფასადურად მოხდა და მათი რეკომენდაციები არ ყოფილა გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ კომპეტენციის დეფიციტია მართვით რგოლში.

გაზაფხულზე ვეუბნებოდით, მოვემზადოთ ისეთი სცენარისთვის, რომ რამდენიმე ათეული კი არა, ათასობით ინფიცირებული გვეყოლებაო, მაგრამ არ გაითვალისწინეს. ეს, ალბათ, თავიანთი პოლიტიკური დღის წესრიგიდან გამომდინარე გააკეთეს ან ეგონათ, რომ 10-15 შემთხვევა იქნებოდა ყოველდღიურად. ნებისმიერ შემთხვევაში ეს არაკომპეტენტურობაა. სამწუხაროდ, ამის გამო იქამდე მივედით, რომ ნოემბერში სისტემის კოლაფსი გვქონდა.

***— ხშირად ამბობენ, რომ უნდა გაკეთდეს საველე ჰოსპიტლები. ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოხდეს ამის მართვა — ზამთარია და საჭიროა გათბობა, ვინ უნდა მიხედოს ინფიცირებულ პაციენტებს და ა.შ. ამ დეტალების მოგვარება როგორ წარმოგიდგენიათ?***

— მე ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე საველე ჰოსპიტლების აუცილებლობა არ არის, თუმცა მოვლენების შესაძლო განვითარების თვალსაზრისით ქვეყანა მზად უნდა იყოს. თუ ვითარება კონტროლიდან გავიდა, ეს, შესაძლოა, დაგვჭირდეს. ამიტომ მზაობა უნდა იყოს, თუმცა უახლოეს თვეებში ამის საჭიროებას ვერ ვხედავ. თუ მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ოქტომბერ-ნოემბერში, ამისთვის მზადყოფნა უნდა არსებობდეს.

***— აქედან გამომდინარე ვსვამ კითხვას, ხომ უნდა გვქონდეს როგორც ოპტიმისტური, ისე პესიმისტური სცენარი?***

— რა თქმა უნდა. ამაზე გაზაფხულიდან ვსაუბრობდით, რომ შესაძლოა, იყოს ოპტიმისტური ვითარება, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ პესიმისტური სცენარისთვისაც. როდესაც დღეში რამდენიმე ათასი შემთხვევა გვქონდა, სისტემა ამისთვის მზად არ იყო. იმ რესურსითაც კი, რაც გვქონდა ოქტომბერ-ნოემბერში საწოლების, ჰოსპიტლების და ა.შ. მხრივ, ესეც კი არ იყო გამოყენებული სრულად ცუდი მართვის გამო. ამიტომ გაჩნდა ალტერნატივა, საველე ჰოსპიტალი ხომ არ გავაკეთოთო.

***— ის ყოფითი პრობლემები, რომლებიც ვიკითხე, როგორ შეიძლება მოგვარდეს?***

— საველე ჰოსპიტალი არ არის ის, რაც ბევრს წარმოუდგენია, რომ ეს არის გაშლილი კარავი. არ არის ე.წ. პალატკები. ეს არის მთელი ინფრასტრუქტურა თავისი აღჭურვილობით, ვენტილაციით, სადეზინფექციო საშუალებებით, გამათბობლებით და ა.შ. არსებობს კომპანიები, რომლებსაც დაუკვეთ და საველე ჰოსპიტალს მოაწყობს თავისი ინფრასტრუქტურით. მენეჯმენტურად ეს არ არის ძნელი. შეგიძლია დაუკვეთო საერთაშორისო კომპანიებს და რამდენიმე თვეში ჩაგაბარებს.

მაგრამ აქაც იმავე პრობლემებს წავაწყდებით. ეს არის სამედიცინო პერსონალი და ეს ხომ ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა. ახალ ექიმებს ხომ ვერ გავაჩენთ!

***— აქ ჩნდება კითხვა: ვინ უნდა გადაემზადოს? არიან პენსიაზე გასული ექიმები ან სამედიცინოს დამამთავრებელი კურსის სტუდენტები. პენსიაზე გასულ ადამიანებს რამდენად შეუძლიათ ფიზიკურად ამ რთულ პირობებში მუშაობა?***

— მე არ ვფიქრობ, რომ რეალურად პენსიაზე გასული, ასაკოვანი ადამიანები უნდა გადამზადდნენ. კი, შეიძლება მათი მობილიზაციაც, მაგრამ ეს არ იქნება იმ სახის რესურსი, რომელიც მნიშვნელოვან ფუნქციებს შეასრულებს გარკვეული გამონაკლისების გარდა. ასევე არ მგონია, რომ სტუდენტების სწრაფად გადამზადება მოხდეს. გადამზადებას რაც შეეხება, რაც ზაფხულში ვნახეთ, ეს ხშირად იყო ერთჯერად, ხშირად „ზუმ ქოლის“ მეშვეობით ჩართული. ეს არ ყოფილა ისეთი გადამზადება, რომელიც კვირები თუ თვეები გრძელდება, პირობითად არის 24– საათიანი, პირისპირ რეჟიმში და ა.შ.

არ ვფიქრობ, რომ სტუდენტების ან პენსიაზე გასული სამედიცინო პერსონალის მობილიზაციით სერიოზული რესურსის შექმნა შეიძლება. უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ რა რესურსიც არსებობს, ის მაქსიმალურად იყოს ათვისებული.

მთავარი პრობლემა იყო ის, რომ პაციენტთა ნაკადების ცუდი მართვა ხდებოდა, ვინ სად გადამისამართდება და ვინ რაზეა პასუხისმგებელი. ალგორითმებსა და პროტოკოლებში საავადმყოფოში მიღების ან გამოწერის თვალსაზრისით იყო სერიოზული ჩავარდნა, რის გამოც არსებული რესურსი არ იყო ოპტიმალურად გამოყენებული. თუ ნაკლოვანებებს აღმოვფხვრით, ის სამედიცინო რესურსი შესაძლოა იყოს ოპტიმალურად გამოყენებული და არ დადგეს სამედიცინო პერსონალის დანაკლისი. ასევე მნიშვნელოვანია სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოება.

თუ პერსონალიდან ათიათასობით ადამიანი დაინფიცირდა, რა თქმა უნდა, დადგება და არა აქვს მნიშვნელობა, მობილიზებული იქნება, გადამზადებული თუ არაგადამზადებული. სამედიცინო პერსონალის ოპტიმალურად გამოყენება და უსაფრთხოების დაცვა უნდა იყოს ერთ-ერთი პრიორიტეტი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ სამედიცინო პერსონალის დანაკლისები არ გვქონდეს. თუ ყველა ეს რესურსი ოპტიმალურად იქნება გამოყენებული, შესაძლოა, საერთოდ არ დადგეს ე.წ. საველე ჰოსპიტლის საჭიროება. ყოველ შემთხვევაში, იმ მონაცემებით, რომლებიც დღეს გვაქვს, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ.

# ელენე ხოშტარია: „ძალიან მაგარი ქმარი მყავს“

## ირაკლი ბერიძემ შარშან 200.000 ლარი ხელფასი აიღო



ელენე ხოშტარიამ ახლახან დატოვა „ევროპული საქართველო“ და დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება გადაწყვიტა. გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ამ თემაზე საუბრისას კი განაცხადა:

— რაღაც ახლის გაკეთება მსურს, ახალი ფორმის პარტიის, ახალი ადამიანების მოყვანის. ეს იყო მთავარი მოტივი. „ევროპული საქართველოს“ ლიდერებთან კონფლიქტი არ მქონია, ერთად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება და დროც ერთად შევარჩიეთ.

ის, რომ 4 შვილის დედა პოლიტიკურად ასეთი აქტიურია, ნაწილობრივ მისი მეუღლის მხარდაჭერის დამსახურებაც არის, რასაც არც ელენე უარყოფს.

— ჩემი მეუღლე აქციაზე ერთადერთხელ იყო, როცა ნაგვის მანქანაზე შევხტი და ხელი გავიჭერი, მაშინ დარჩა დილამდე ჩემთან ერთად. მას პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არა აქვს, თუმცა მოსწონს, რასაც ვაკეთებ და მგულშემატკივრობს, — ამბობს პოლიტიკოსი გამოცემასთან.

ელენეს 4 შვილი ჰყავს — გიორგი გაფრინდაშვილი, ნატალია, კონსტანტინე და რატი ბერიძეები.

„ჩემი აზრით, ძალიან მაგარი ქმარი მყავს, რომელიც დღეს 46 წლის გახდა“, — ასე მიულოცა ელენე ხოშტარიამ მეუღლეს, ირაკლი ბერიძეს, 19 დეკემბერს დაბადების დღე სოციალური ქსელით.

„ამბები“ ელენე ხოშტარიასა და მისი მეუღლის ფინანსური მდგომარეობით დაინტერესდა.

ელენე ხოშტარიას მეუღლე ირაკლი ბერიძე შპს სიემსი-ში საოპერაციო დირექტორის თანამდებობაზე მუშაობს, საიდანაც ხელფასის სახით ბოლო წლის განმავლობაში 194.255,52 ლარი მიიღო. ის ასევე კონსულტანტია შპს მოზაიკ დეველოპმენტში, საიდანაც 10.000 ლარის ოდენობის ხელფასი აიღო.

ელენე ხოშტარიამ კი გასულ წელს საპარლამენტო საქმიანობისთვის ხელფასის სახით 48.451 ლარი მიიღო, ხოლო თავისუფალ უნივერსიტეტში წაკითხული ლექციებიდან – 6.390 ლარი.

ელენე ხოშტარია ფლობს: 5.179 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და 180.6 კვ.მ. სახლს კახეთში (იყალთო), რაშიც 2010 წელს ჯამში 10.000 აშშ დოლარი გადაიხადა. ასევე, 1.502 კვ.მ. მიწის ნაკვეთს ტაბახმელაში, რომელიც 2014 წელს 15.000 აშშ დოლარად შეიძინა. 2015 წელს კი ამავე ტერიტორიაზე შეიძინა 423 კვ.მ. სახლიც, რომლის ღირებულება 170.000 ლარია.

ირაკლი ბერიძის საკუთრებაშია: 46,9 კვ.მ. ბინა ბაკურიანში, რომელიც 71.920 აშშ დოლარად შეიძინა. გარდა ამისა, მის საკუთრებაშია 2011 წელს 145.000 აშშ დოლარად შეძენილი ბინა საბურთალოზე და 60 კვ.მ. ბინა ასევე თბილისში, რაშიც 2013 წელს 45.000 აშშ დოლარი გადაიხადა.

წყვილმა ქალიშვილის, ნატალია ბერიძის, სწავლის საფასურად 5.520 ლარი გადაიხადა, ხოლო ტყუპი ბიჭების – კონსტანტინესა და რატის სკოლამდელი დაწესებულების საფასურად სულ 9.600 ლარი დახარჯა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ელენე ხოშტარია პარლამენტში შევა“

## „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა თავიანთი მანდატები ბიზნესმენებზე გაყიდეს“

ნონა ცაბაძე

**ვისი კაცია ფრიდონ ინჯია? ვინ ჩანერგა ელისაშვილი ოპოზიციაში? კიდევ ვინ აპირებს პარლამენტში შესვლას? რა ღირს საპარლამენტო მანდატები? რატომ დატოვა ელენე ხოშტარიამ პარტია? როდის ჩატარდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ ლადო სადღობელაშვილი ესაუბრა.**

***– ლადო, ოპოზიციაში ნავსი გატყდა და სამი დეპუტატი შევიდა პარლამენტში. რა პროცესებს ელით და როგორია თქვენი შეფასებები?***

– როდესაც ბიზნესმენი დებს ფულს ამა თუ იმ პარტიაში, ეს პარტია იმ ბიზნესმენს გარანტიას აძლევს, რომ რაიმე სახით თანამდებობას მიიღებს, გააჩნია, კონკრეტული პირი რა რაოდენობის ფულს ჩადებს პარტიაში. მერე მეორე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავიდანვე ამ ბიზნესმენებს იმისათვის, რომ ესა თუ ის პარტია დააფინანსონ, მწვანეს უნთებს ხელისუფლება.

***– ხელისუფლების თანხმობით ხდება ეს ყველაფერი?***

– რა თქმა უნდა. ფრიდონ ინჯიასა და ენუქიძის მაგალითი რომ განვიხილოთ, ენუქიძის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და შესაძლოა, მისი წარსულიც შევარდნაძის პერიოდს უკავშირდება, ისევე, როგორც ფრიდონ ინჯიასი, მაგრამ ამ ადამიანზე უარყოფითი არ მსმენია. ფრიდონ ინჯია კი იყო ადამიანი, რომელმაც თავის დროზე გადაწვა კავშირგაბმულობა და ფოსტა. იმ ფართებიდან, რომლებიც დღესაც კი გაქირავებულია ფოსტის შენობაში და ნაწილი გაყიდულია, დივიდენდებს იღებდა ბატონი ფრიდონი. ეს ადამიანი არის კორუფციის ის სახე, რომელიც ასოცირდება შევარდნაძის ეპოქასთან. ჩვეულებრივი, ტიპური კორუმპირებული ჩინოვნიკია ეს პიროვნება.

ისეთი პარტია, როგორიც „პატრიოტთა ალიანსია“, რომელსაც თავი მოაქვს, როგორც ეროვნულ ძალას, თავის მანდატებს ყიდის ისეთ კორუმპირებულ ადამიანებზე, როგორიც ფრიდონ ინჯიაა.

***– გაყიდეს მანდატები?***

– ზუსტად რომ ასეა. ჯერ იყო და ქალბატონ ნატო ჩხეიძესა და ბატონ მიქაძეზე გაყიდეს მანდატები და საკმაოდ სოლიდურ ფასად. მე ეს ციფრები ვიცი და ისინი მილიონ დოლარს სცილდება. არა მგონია, ფრიდონ ინჯიას ამდენი ფული ჰქონდეს ჩაყრილი „პატრიოტთა ალიანსში“, მაგრამ არც ბევრად ნაკლები დაუჯდებოდა.

ერთი საინტერესო დეტალი მინდა გავუზიარო თქვენს მკითხველს. როდესაც დაპირისპირება მომიხდა ბატონ ფრიდონთან, მას ჩემთან ერთი საინტერესო ფრაზა წამოსცდა.

***– რა ფრაზა?***

– მაშინ „ქართულ მარშში“ ვიყავი და კალაძის შტაბთან ვაკეთებდით საპროტესტო აქციას. ფრიდონს ვთხოვეთ დახმარება. ფრიდონი შემომიტრიალდა და, იცით, რას მეუბნება?! მე აქციას როგორ გავუბედავ ჩემს კახის, ჩემი შვილი და კახი მეგობრები არიან, მეც ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემო. კაცი იყო ოპოზიციურ პარტიაში და თავიდანვე ამბობდა, რომ არ სურდა კალაძესთან ურთიერთობის გაფუჭება.

***– კალაძის კაცია ფრიდონ ინჯია თუ რა გამოდის?***

– კი, ასეა და იცით, რა გამოდის? როდესაც სია დგება და პირველი ნომრები როდესაც არიან პარტიის ლიდერები, ისინი ეუბნებიან თავიანთ დამფინანსებლებს, თუ ჩვენ იმდენი მანდატი ვერ ავიღეთ, რამდენიც საჭიროა, მაშინ დავთმობთ მანდატებს, არ შევალთ პარლამენტში და თქვენ შეგიშვებთო. აი, ასეთი დათქმები არის ხოლმე. როგორ იქცევა ქალბატონი ირმა ინაშვილი, რას აცხადებს?! პარტია არ შედის პარლამენტში, მაგრამ ეს ბიზნესმენები სულაც არ იყვნენ პარტიის წევრებიო. თუ პარტიის წევრები არ იყვნენ, რა უნდოდათ მათ სიებში?!

***– ანუ რა მოხდა, საკუთარი ადგილები დაუთმეს პარტიის ლიდერებმა?***

– რა თქმა უნდა. სწორედ ამის თქმა მინდა, რომ დაუთმეს თავიანთი ადგილები, იმიტომ, რომ ფული ჰქონდათ აღებული. აი, ასეთი ანგაჟირებული ტიპები არიან, რომლებმაც გაყიდეს თავიანთი მანდატები.

აქ მანდატის კი არა, ხალხის ნდობის გაყიდვაა საქმე. კონკრეტულმა ადამიანმა ფრიდონ ინჯიას კი არ მისცა ხმა, არამედ მისცა ხმა ირმა ინაშვილს. ინაშვილი კი თვითონ არ შევიდა პარლამენტში და ინჯია და ენუქიძე შეუშვა. უნდოდა მის ამომრჩეველს ინჯია პარლამენტში, ან ვიღაცა გადამგდები მიქაძე?! ან თავის დროზე ნატო ჩხეიძე?! აი, ეს არის ყველზე დიდი სიმახინჯე.

***– ვტოვებ „პატრიოტთა ალიანსს“ და ახალ პარტიას ვქმნითო, ინჯიამ თქვა.***

– ინჯიას შექმნილი პარტია არ გაიშვა. ინჯიას ნაყიდი აქვს ფეხბურთის გუნდი. ამ ფეხბურთის გუნდით ცხოვრობს და იქაც დიდ მაქინაციებს ჩადის. გადარეულია მთელი მარტვილი მაგის შემხედვარე. მსურს პოლიტიკური კარიერის აწყობა, მაგრამ რატომ არ მივდივარ არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში? მიზეზი სწორედ ეს სიმახინჯეა, რასაც ჰქვია მანდატების გაყიდვა. მე აქ ვიბრძვი, აქციებზე დავდივარ, პარტიის იდეოლოგიას ვავითარებ და ამ დროს გამოჩნდება ვიღაცა, რომელიც ამოიღებს მილიონ დოლარს ჯიბიდან და იყიდის პარლამენტის მანდატს, მე კი ვრჩები ხახამშრალი.

ეს დამოკიდებულებაა არა მარტო „პატრიოტთა ალიანსში“, არამედ ნაციონალურ მოძრაობაშიც.

***– სერიოზული აღებმიცემობა მიმდინარეობს?***

– უსერიოზულესი. მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის, მაგრამ, წარმოგიდგენიათ, რა ღორები არიან რიგი პარტიის ლიდერები, ჯერ ხომ პარლამენტის მანდატი გაყიდეს და მერე კიდევ აჭარის უზენაესი საბჭოს მანდატიც კი გაყიდეს. გამყიდველების ვაჭრის იარლიყები რომ აერტყმევათ რიგ პარტიებს, მერე ისწავლიან ჭკუას.

სხვა პარტიებიდანაც იქნებიან ბიზნესმენები, რომლებიც შევლენ ამ პარლამენტში.

***– კიდევ ვის შესვლას ელოდებით? ითქვა, რომ ხაზარაძე, ვაშაძე და ბოკერიაც ერთიანდებიან. რას ნიშნავს მათი გაერთიანება?***

– სიმართლე გითხრათ, ცოტა ეჭვი მეპარება, ხაზარაძე და ვაშაძე რომ გაერთიანდნენ. თუმცა ჩვენს პოლიტიკაში არაფერი აღარ მიკვირს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები, ხელისუფლების მიერ ოპოზიციაში ჩანერგილი დეპუტატებიც შევლენ პარლამენტში. თქვენ რა გგონიათ, ალეკო ელისაშვილი რატომ შედის პარლამენტში?!

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ალეკო ელისაშვილს სერიოზული ვალდებულებები აქვს აღებული და არა მარტო ფინანსური.

***– ვისთან?***

– ხელისუფლებასთან. როგორც ვიცი, აქ მარტო ფინანსურ ვალდებულებებზე არ არის საუბარი, სხვა ვალდებულებებიც არის. თბილისი პატარაა და ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად იცის. აქვს ამ პიროვნებას აღებული გარკვეული ვალდებულებები და, შესაბამისად, ასრულებს.

***– ელისაშვილი ოპოზიციაში შეგზავნილია?***

– კი, ასეა და მე ამაში დავრწმუნდი 2017 წელს, როდესაც ელისაშვილი გამოვარდა, პირველმა მიულოცა კალაძეს მერად არჩევა და გაუპრავა არჩევნები. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ეს არჩევნები რა დაუჯდა კალაძეს ფინანსური კუთხით. რომელ უბანში ბინის ყიდვად დაუჯდა, ეგეც ძალიან კარგად ვიცი.

***– სხვა ოპოზიციური პარტიებიდანაც შევლენ პარლამენტში?***

– ყველა პარტიაში აღმოაჩენ ისეთს, ვის წინააღმდეგაც მაკომპრომეტირებელი მასალები გექნება, ვისაც რაღაცით დააშანტაჟებ. 4 წლის წინ სწორედ ბოკერია მოიქცა ასე. თავის დროზე, როცა ნაცმოძრაობასთან გაყვეს პარტია, სწორედ ბოკერია მოიქცა მაშინ ისე, როგორც იქცევიან ახლა ელისაშვილი და ფრიდონ ინჯია. მაშინ ბოკერიას სერიოზული ფინანსური ვალდებულებები ჰქონდა აღებული. მაშინ სააკაშვილს არ უნდოდა შესვლა და ბოკერიამ გაუყო პარტია, ნაწილი შეიყვანა და იძულებული გახადა ნაცმოძრაობაც, შესულიყო. ახლა ბოკერია სხვას აკრიტიკებს. დღეს ბოკერიას ოთხი მანდატი აქვს. ამ ოთხიდან ელენე ხოშტარია შევა პარლამენტში.

***– ფიქრობთ, რომ ელენე ხოშტარია შევა? მან დატოვა „ევროპული საქართველო“.***

– სწორედ იმიტომ დატოვა, რომ შევიდეს პარლამენტში!

***– ყველაზე კატეგორიული განცხადებებით გამოირჩეოდა ელენე და მაინც ფიქრობთ, რომ შევა?***

– დარწმუნებული ვარ, რომ შევა. რატომ წამოვიდა ხოშტარია „ევროპული საქართველოდან“, ვინმეს ეს კითხვა გაუჩნდა?!

***– რატომ?***

– როდესაც იქ დაიწყო განხილვა პარლამენტში შესვლაზე, ელენემ გამოთქვა სურვილი, რომ შესულიყო. ლიდერებმა პარტიის დატოვება მოსთხოვეს. ელენე რომ გამოსულიყო და ეთქვა, იმიტომ მივდივარ პარტიიდან, რომ პარლამენტში შესვლა მინდაო, ყველა გადაუვლიდა. ამიტომ სხვა მიზეზით წამოვიდა და დიპლომატიურად გამოძვრება ამ სიტუაციიდან.

იგივე დაემართათ გირჩელებს. იაგო ხვიჩია იხვეწებოდა, შემიშვით პარლამენტშიო.

ესენი მართული ოპოზიციაა, ნაყიდი ოპოზიცია, რომლის ყოფნას პარლამენტში დიდი აზრი და მნიშვნელობა არა აქვს.

***– პოლიტიკური სანახაობა ჯერ კიდევ წინ გვაქვს?***

– რა თქმა უნდა! ხაზარაძეს ხომ წამოსცდა და ხელისუფლების კულუარებშიც მუსირებს აზრი, რომ 2022-ში დაინიშნოს ხელახალი არჩევნები. ხაზარაძემ თქვა ეს და მე მისგან გამიკვირდა, რადგან ხაზარაძეს ფულით ვერ იყიდის „ოცნება“, თუმცა არსებობს სხვა თემები, იგივე ანაკლიის პორტი და ასე შემდეგ, რის გამოც შეიძლება დაითანხმო ეს ადამიანი პარლამენტში შესვლაზეც და 2022-ის არჩევნებზეც.

ადრეც გითხარით და ახლაც ამ აზრზე ვარ, ბიძინა ივანიშვილს არ უნდა, რომ ეს პარლამენტი შედგეს.

***– და 2022-ში ხელახალი არჩევნები დაინიშნება?***

– მე ამას ვპროგნოზირებ, რომ საკრებულოს არჩევნებთან ერთად საპარლამენტო არჩევნებიც ჩაინიშნება.

***– და ეს გააჟღერებინეს ოპოზიციის სახელით ხაზარაძეს?***

– კი, ასეა. ხაზარაძე-ბოკერიას კოალიცია უფრო ადრე იყო დაგეგმილი. მათი პოლიტიკური სიყვარული თავიდანვე იკვეთებოდა და გამიკვირდა, ცალ-ცალკე რომ გადაწყვიტეს ამ არჩევნებში მონაწილეობა.

რაც შეეხება ვაშაძეს, ის იქ ვერ იქნება ვერანაირად, ჩხარტიშვილი-ხაზარაძის დაპირისპირებიდან გამომდინარე.

ვაშაძეს ნაცმოძრაობასთან უფრო ვხედავ, ვიდრე ხაზარაძესთან.



ლადო სადღობელაშვილი: „ფრიდონ ინჯია კახა კალაძის კაცია“

# „ხელისუფლება კომპრომისზე თუ არ წავა, შემოდგომაზე მისი დასასრული გარდაუვალია“

## ლევან ალაფიშვილი: „კიდევ არის შანსი, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური პროცესი გადარჩეს“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, კულუარული ინფორმაცია ვრცელდება, რომ მმართველ პარტიაში დიდი ცვლილებები მზადდება. ასევე ბიძინა ივანიშვილი აპირებს სიტყვით გამოსვლასა და მოქალაქეებისთვის მიმართვას. შეიძლება, „ქართულ ოცნებას“ აწუხებს ის პოლიტიკური მოცემულობა, რომელიც დღეს ქვეყანაშია?***

– არჩევნების მეორე დღესვე თქვენთან ინტერვიუში ვთქვი, თუ როგორ მოიქცეოდა გონიერი ხელისუფლება. თუ იმ საფრთხეებს გავითვალისწინებთ, რომლებიც ელოდება ქვეყანას, სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ხელისუფლება არ ფიქრობდეს პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე.

ამ მოცემულობაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება არის კოალიციური მთავრობა. შეუძლებელია, არათუ პოლიტიკოსმა, არამედ მოაზროვნე ადამიანმა ვერ გააცნობიეროს ის საფრთხეები, რომელთა წინაშეც ყველა ერთად ვდგავართ. სახელმწიფო დგას ძალიან მძიმე გამოწვევების წინაშე. შესაბამისად, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, ცალკე აღებული, ერთპიროვნულად ამ პასუხისმგებლობას ვერ იტვირთებს.

არჩევნების შემდეგ განვითარებული პოლიტიკური პროცესები, პანდემია და მისი შედეგები, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ამას დამატებული კომუნალური გადასახადების გაზრდა, ტარიფების მატება, ლარის კურსის გაუფასურება, უმუშევრობა – ეს ყველაფერი გაზაფხულზე თავის შედეგებს გამოიღებს.

ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წელს ადგილობრივი არჩევნები უნდა ჩაატაროს ხელისუფლებამ. არჩევნების წელს ყოველთვის ნებისმიერი ხელისუფლება გონივრულ გადაწყვეტილებებს ეძებს, ყოველ შემთხვევაში, უნდა ეძებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემოდგომაზე მისი პოლიტიკური დასასრული გარდაუვალი იქნება, თუ საერთოდ მიაღწია იქამდე მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ.

***– თქვენ ამბობთ, რომ ხელისუფლება გარკვეულ კომპრომისებს ეძებს? ბევრი ამბობს, რომ ამნისტიის კანონპროექტიც სწორედ ამ კონტექსტში ჯდება.***

– რა თქმა უნდა! ის ცდილობს.

***– რომ საკუთარი თავი ამოქაჩოს?***

– დიახ, გასაკვირი იქნებოდა, ასე რომ არ იყოს, მაგრამ ეს ძალიან დაგვიანებულია, თუმცა არა – საბოლოოდ. მართალია, ოპოზიციურმა პარტიებმა საპარლამენტო სიები ჩახსნეს, მაგრამ კოალიციური მმართველობა, მიუხედავად ყველაფრისა, შესაძლებელია. მართალია, ხიდები დამწვარია, მაგრამ ჯერ კიდევ არის შანსი, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური პროცესი გადარჩეს.

***– როგორ?***

– საერთო-ეროვნული კონსენსუსის მიღწევით, პასუხისმგებლობის ოპოზიციაზე გადანაწილებით, პრობლემების ერთობლივი გამკლავებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, გვაქვს მოცემულობა, როდესაც ოპოზიციური სპექტრი კომფორტულ მდგომარეობაშია. ისინი არ შედიან პარლამენტში და არ ინაწილებენ პასუხისმგებლობას. ხელისუფლება გონიერი რომ იყოს, წმინდა ტაქტიკური გათვლებით ამ უპირატესობას გამოიყენებდა და, თუ ოპოზიციური ძალებიდან პასუხისმგებლობის გაზიარების ადეკვატური შემხვედრი ნაბიჯები არ იქნებოდა, მაშინ ის მიიღებდა ამომრჩევლისგან ნეგატიურ დამოკიდებულებას. მინიმუმ, მმართველ პოლიტიკურ ძალას რიტორიკის დონეზე სათქმელი ექნებოდა როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეებთან, ისე საერთაშორისო პარტნიორებთან, დასავლეთთან, რომ ოპოზიციამ პასუხისმგებლობის განაწილებაზე უარი თქვა, რომ ოპოზიციამ გარდამავალ მთავრობაში მონაწილეობა არ მოისურვა. თუმცა ჩვენთან, სამწუხაროდ, პოლიტიკური კულტურა იმდენად ჩანასახოვან მდგომარეობაშია, რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება ძალიან სწრაფად შეუძლებელია, რაც ქვეყანასა და მის განვითარებას აზიანებს.

***– ვადამდელ არჩევნებს გამორიცხავთ თუ შეიძლება განიხილება კიდეც გუნდის შიგნით?***

– ყველაზე გონივრული გამოსავალი იქნებოდა დროებითი კოალიციური მთავრობა, ერთი წლის განმავლობაში საარჩევნო კოდექსის რეფორმა და ერთი წლის თავზე რიგგარეშე არჩევნები. ეს იქნებოდა ყველაზე სწორი და გონივრული გზა, რომელიც კი შეუძლია ამ მოცემულობაში შემოგვთავაზოს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ.

***– თუმცა პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ პარლამენტში ოპოზიცია უკვე წარმოდგენილია და შეიძლება ამით ყველაფერი დასრულებულია კიდეც?***

– ფორმალურად შეიძლება ასეც წარმოაჩინოს დაინტერესებულმა მხარემ, მაგრამ ძნელია, ამას ეწოდოს მოსახლეობის უმრავლესობის ან დიდი ნაწილის აზრის წარმომადგენლობა.

„პატრიოტთა ალიანსი“ ყოველთვის იყო მმართველი პოლიტიკური ძალის ღია თუ ფარული ლოიალობის ქვეშ. ეს ადამიანები თავიანთ თავს პოლიტიკოსებს არც კი უწოდებენ. მმართველი პოლიტიკური ძალა კი აძალებს – არა, პოლიტიკოსები ხართო! ცოტა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ამ ვითარებაში რთულია პოლიტიკურ ოპოზიციაზე საუბარიც კი ამ ადამიანებთან მიმართებით. ეს ადამიანები, მათ პოლიტიკოსებს ვერც კი ვუწოდებ, შეიძლება, სპეცსამსახურების იძულებით, საკუთარი ბიზნესინტერესების დაცვის მიზნით შევიდნენ პარლამენტში.



ყველაზე გონივრული გამოსავალი იქნებოდა დროებითი კოალიციური მთავრობა

# სოსო შატბერაშვილი: „პარლამენტის მანდატებზე უარის თქმა დიდი სისულელეა“

## „ხელისუფლებამ მთელი ძალები ლარის გამყარებას უნდა მოახმაროს“

მარიამ მჭედლიშვილი

**პარლამენტში მიმდინარე მოვლენები ისევ ყურადღების ცენტრშია. საზოგადოების ნაწილს ეჭვი აქვს, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, რომლის სიით გასული ოთხი პირის უფლებამოსილება პარლამენტმა ცნო, გარიგებულია მმართველ პარტიასთან. საზოგადოების სხვა ნაწილი ფიქრობს, რომ „ქართულ ოცნებასთან“ შეკრულია სხვა ბარიერგადალახული ოპოზიცია, ვინაიდან გადაიდო გასული დეპუტატების განაცხადების დაკმაყოფილება მანდატების გაუქმებაზე. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.**



**სოსო შატბერაშვილი:**

– გარიგებისა რა მოგახსენოთ! არა მგონია, ვინმე ვინმესთან იყოს გარიგებული. ერთი კი ვიცი – თუ დეპუტატად აგირჩიეს, პარლამენტში უნდა შეხვიდე. მივესალმები, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ სიით მოხვედრილმა ადამიანებმა ეს გააკეთეს. სამწუხაროა, რომ ამავე პარტიის პირველმა სამეულმა – ირმა ინაშვილმა, გიორგი ლომიამ და გოჩა თევდორაძემ მანდატებზე უარი თქვეს და მათ უფლებამოსილება უკვე მოეხსნათ. დარწმუნებული ვარ, „პატრიოტთა ალიანსის“ სიით გასულებს მიჰყებიან სხვებიც – ელისაშვილის „მოქალაქეებიდან“ და „გირჩიდან“. ის, რაც ახლანდელ პარლამენტში ხდება, ერთი ერთში მაგონებს 2008 წლის მოვლენებს. მაშინ ლეიბორისტულ პარტიაში გახლდით და სააკაშვილის წინააღმდეგ გაერთიანებულ ოპოზიციას წარმოვადგენდით. მაშინაც ვაპროტესტებდით არჩევნების გაყალბებას და არ შევდიოდით პარლამენტში. ამ ბოიკოტს რაღაც აზრი მაინც ექნებოდა მაშინ, თუ ოპოზიციის ერთიანობა შენარჩუნდებოდა და პირობა არ დაირღვეოდა. ეს ასე არ მოხდა. პარლამენტში შესვლის შესახებ პირველმა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა გიორგი თარგამაძემ განაცხადა. მოგვიანებით მას სხვებიც მიჰყვნენ. ჩვენ უცნაურ მდგომარეობაში აღმოვჩნდით და გამოვიდა ისე, რომ ვერც მანდატებზე ვთქვით უარი და არც პარლამენტში დავდიოდით. ამის შედეგად სააკაშვილი აკეთებდა იმას, რაც უნდოდა. მას ფაქტობრივად არ ჰყავდა გამკრიტიკებლები. ასე მივიღეთ 2008 წლის აგვისტოს ომი.

***– ახლანდელი ოპოზიციაც თავიდანვე უნდა შესულიყო პარლამენტში?***

– რასაკვირველია. ამისკენ მოგვიწოდებენ აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩები და სახელმწიფოები და ორგანიზაციები, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. ვერ ნახავთ სახელმწიფოს, აღმოსავლეთი ევროპისა და ჩვენი მეზობლების, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჩათვლით, რომლებიც პარლამენტის მანდატებზე უარის თქმას მოიწონებდნენ. ეს დიდი სისულელეა და მსოფლიოში არსად ხდება. პროტესტისა და ბრძოლისთვის არსებობს სხვა ფორმები.

***– საზოგადოებაში გარიგებაზეც საუბრობენ მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის.***

– ჩვენთან პოპულარულია იარლიყების მიწებება. ხან ვის დააბრალებენ გარიგებასა და რუსეთის აგენტობას, ხან – ვის. ჩემი აზრით, გაიმარჯვა საღმა აზრმა და ბოიკოტი ჩაიშალა.

***– „პატრიოტთა ალიანსი“ ემიჯნება იმ პირებს, რომლებიც პარტიის სიით დეპუტატები გახდნენ.***

– ფაქტია, რომ ეს პირები დეპუტატები გახდნენ. ბოიკოტი არ გამოვიდა. სახელებსა და გვარებს მნიშვნელობა არა აქვს.

***– იმასაც გვეუბნებიან, რომ ისინი ბიზნესმენები არიან.***

– ეს ჩვენი რეალობაა. მე რომ მკითხოს კაცმა, პარლამენტი პოლიტიკაში გარკვეული იურისტებითა და ეკონომისტებით უნდა დაკომპლექტდეს. ბიზნესმენებს, მსახიობებს, მომღერლებს, სპორტსმენებს თავიანთი საქმე აქვთ. ჩემი აზრით, პარლამენტში აუცილებლად უნდა იყოს ირმა ინაშვილი, „პატრიოტთა ალიანსის“ სხვა ლიდერები. მათ ვურჩევდი, შესულიყვნენ პარლამენტში, მაგრამ ამაოდ. მარტო ირმა ინაშვილი ისეთ ცეცხლს ანთებდა სხდომათა დარბაზში! მებრძოლები იყვნენ ასევე ადა მარშანია და ემზარ კვიციანი.

***– ფრიდონ ინჯია, რომელიც „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი იყო და პარლამენტში გავიდა, აფუძნებს ახალ პარტიას სახელწოდებით „ევროპელი სოციალისტები“. ბიზნესწრეებისთვის უჩვეულო არ არის მემარცხენეობა?***

– ბიზნესმენს შეუძლია, იყოს მემარცხენე პარტიის წევრი ან დამფუძნებელი. სხვა საკითხია ოლიგარქი. ოლიგარქი მხოლოდ მემარჯვენეა. ფრიდონ ინჯიას კარგად ვიცნობ. ჩვენ ერთად ვიყავით ლეიბორისტულ პარტიაში. მისთვის ეს იდეოლოგია უცხო არ არის. ჩვენთვის ფრიდონ ინჯიაც თანამოაზრეა და „პატრიოტთა ალიანსიც“.

***– პოლიტიკურ სპექტრში დიდი გადაჯგუფებები და გადანაცვლებებია. ახალი პარტიებიც იქმნება. თქვენი პარტია ხომ არ აპირებს რამეს?***

– მოგეხსენებათ, ბოლო საპარლამენტო არჩევნებში „მემარცხენე ალიანსი“ „პატრიოტთა ალიანსთან“ ერთად კოალიციაში ვიყავით. არ ვიცი, რა იქნება შემდეგი არჩევნებისთვის. შეიძლება, ეს კოალიცია შენარჩუნდეს, შეიძლება – არა. გადაჯგუფება-გადმოჯგუფებები ჩვენისთანა ქვეყნისთვის გასაკვირი არ არის. დიდი ტრადიციების მქონე ჩამოყალიბებული დემოკრატიებისთვის არის დამახასიათებელი სტაბილურობა, მაგალითად, ორპარტიულობა ან რამდენიმე წამყვანი პარტია. საქართველოში ჯერ ცარიზმი არ უშვებდა პარტიებს, შემდეგ დაუშვა, მაგრამ მოხდა რევოლუცია, ბოლშევიკების შემოსვლა და პარტიები გაქრა, პოლიტიკური ცხოვრება შეწყდა. პარტიები ჯერ ნორმალურად ჩამოყალიბებული არ არის. კიდევ დიდი ხანი დაგვჭირდება, რომ პროცესი დაიწმინდოს და დარჩეს ოთხი-ხუთი ძლიერი პარტია. დამოუკიდებლობა რომ მოვიპოვეთ, გვეგონა, პარტიებიც მალე გაგვიჩნდებოდა, მრეწველობაც და კეთილდღეობაც. შევარდნაძე სამ წელიწადში გვპირდებოდა აყვავებას.

***– წინა ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ახალი კრედიტი და ზოგადად თანხები უნდა მოხმარდეს იმ მოქალაქეების გადარჩენას, რომლებიც კორონავირუსისა და გაჩერებული ეკონომიკისგან დაზარალდნენ. ამ მხრივ რა ხდება?***

– ხდება ის, რომ ასეთი მოქალაქეებისთვის განკუთვნილი დახმარება და კომპენსაცია ძალიან მცირეა. ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანს თვეში 200 ლარი მარტო წამლებისთვის სჭირდება. კარგიც უნდა აღვნიშნო. დადებითად ვაფასებ კომუნალური გადასახადების სუბსიდირების პროგრამას. ვაქცინაცია მოგვისწრებს, მანამდე კი ფიზიკურად უნდა გადავრჩეთ. მინდა, მოვუწოდო ხელისუფლებას, ლარს მიხედოს. ხელისუფლებამ მთელი ძალები ლარის გამყარებას უნდა მოახმაროს. ლარის გაუფასურებას მოჰყვა კომუნალური ტარიფების ზრდა და ფასების მატება. თუ ლარის კურსი გამოსწორდება და გამყარდება, ეს აისახება ფასებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ეს იქნება შეღავათი იმ დაზარალებული მოსახლეობისათვისაც, რომელიც 200 ან 300-ლარიან კომპენსაციას იღებს.

# ვახტანგ მაისაია: „ამერიკა ჩვენი უსაფრთხოების გარანტ-სახელმწიფოდ რჩება“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**

***– ბატონო ვახტანგ, მუდმივი საფრთხის პირობებში ვცხოვრობთ, მუდმივი შემოტევებია ხოლმე საქართველოზე რუსეთის მხრიდან. სხვა მეზობლების მხრიდანაც არ გვაკლია საფრთხე, აზერბაიჯანსა და გარეჯის პრობლემას ვგულისხმობ. როგორი იყო გასული წელი ამ კუთხით და რა პრობლემები შეიძლება იყოს 2021 წელს?***

– გასული წელი, საფრთხეებიდან გამომდინარე, შედარებით სტაბილური იყო. საფრთხეები, რომლებიც ადრე იყო – ოკუპაცია, მცოცავი ანექსია – რჩებოდა, მაგრამ სიტუაცია კრიზისში არ გადასულა. საფრთხე შექმნა გეოსტრატეგიული გარემოს შეცვლამ, საქართველოსთვის სასურველი ალიანსებიც შეიქმნა, მაგრამ მთიანი ყარაბაღის მხარემ მთლიანად შეცვალა ბალანსი ჩვენ საზიანოდ, როდესაც აზერბაიჯანში რუსული სამხედრო ბაზა გაჩნდა.

ფაქტობრივად, საქართველო აზერბაიჯანის მხრიდანაც მოწყვლადია, რუსული სამხედრო აგრესიის კონტექსტიდან გამომდინარე. შეიძლება ითქვას, რომ რუსულ-თურქული ალიანსი შეიცვალა და არაფორმალური ალიანსი ჩამოყალიბდა. ეს საკითხი შეიძლება საქართველოს სასარგებლოდ იქნეს წარმოჩენილი.

მოკლედ, შეიქმნა რეგიონული უსაფრთხოების საქართველოს არასასარგებლო მოდელი სამს პლუს სამი. ამ რეგიონული უსაფრთხოების ფორმატში საქართველოს არც ერთი სტრატეგიული მეგობარი არ არის. სამი ლოკალური, ადგილობრივი აქტორი და სამი რეგიონული ჰეგემონი: თურქეთი, რუსეთი, ირანი. ამ კუთხით, რა თქმა უნდა, შეიცვალა გეოპოლიტიკური სივრცე.

ამ რეგიონული უსაფრთხოების ფორმატიდან ევროკავშირი და ამერიკა ბორტს მიღმა აღმოჩნდნენ, რაც სამწუხარო ფაქტია. ახლა ამერიკასა და თურქეთს შორისაც ძალიან სერიოზულად დაიძაბა ურთიერთობები. ამერიკამ შემოიღო სანქციები თურქეთის წინააღმდეგ. კონკრეტულ მიზნობრივ სანქციებზეა საუბარი. შესაბამისად, სტრატეგიული ბომბდამშენის ფ-35-ის პროექტის განხორციელება ამერიკამ გადადო. ფაქტობრივად, პროექტი ჩაიშალა. თურქეთი პროექტიდან გამოვიდა. ეს თურქეთსა და ამერიკას შორის უკვე სერიოზული გამოწვევაა.

***– ამერიკა-თურქეთის ურთიერთობების გამწვავება ჩვენს ურთიერთობებზეც მოქმედებს.***

– თავისთავად ცხადია, იმოქმედებს, რადგან ამერიკა რჩება ჩვენი უსაფრთხოების გარანტ-სახელმწიფოდ. თურქეთი რუსეთთან არის არაფორმალურ ალიანსში. თურქულ-ირანული ალიანსი ჯერჯერობით ძალიან მკრთალად ჩანს, თუმცა რუსეთის, თურქეთისა და ირანის ალიანსი, შეიძლება ითქვას, აშკარაა.

არავინ იცის, უახლოეს პერიოდში მოვლენები როგორ განვითარდება. საკმაოდ სერიოზული გავლენების გაძლიერება ხდება. შეიძლება, ტერორიზმიც დაბრუნდეს არენაზე. ისლამური სახალიფო კვლავ გააქტიურდა, თანაც იმ ადგილებში, რომლებიც მანამდე მათთვის მიუწვდომელი იყო. ის აფრიკასა და აზიაში გააქტიურდა. შეიძლება, სხვა ადგილებშიც გააქტიურდეს. კვლავ დარჩა ბიოსაფრთხე. ბიოლოგიური საფრთხის კონტექსტში კიდევ რა შეიძლება წარმოიშვას, არავინ იცის.

***– 21-ე საუკუნეში საერთაშორისო საფრთხეები ძალაუნებურად საქართველოზე აირეკლება?***

– რა თქმა უნდა.

***– მოგეხსენებათ, პუტინმა თავისი წარმომადგენელი დანიშნა საქართველოსთან საზღვრების დადგენისთვის იმ ვითარებაში, როდესაც ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული. რა გველოდება?***

– პეტრაკოვის დანიშვნით რუსეთმა სეპარატისტული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის თვითმარქვია რესპუბლიკებთან ე.წ. საზღვრების დემარკაციისა და დელიმიტაციის პროცესი წამოიწყო. პეტრაკოვმა მიიღო დავალება, რომ აქტიური ქმედებები დაიწყოს მოლაპარაკებებისა თუ სხვა სახით.

ჩვენთვის ესეც ახალი გამოწვევაა. მოსკოვმა ახალი ჰიბრიდული შეტევა წამოიწყო. როგორც ჩანს, მოსკოვი აპირებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საზღვრების დემარკაციას. არავინ იცის, მოსკოვის ეს გადაწყვეტილება რეგიონში რა ვითარებას შექმნის. ამ გადაწყვეტილებით მოსკოვი ცდილობს, კიდევ უფრო გაზარდოს თავისი გავლენა რეგიონზე.

***– ზეწოლა მოახდინოს საქართველოზე.***

– რუსეთი მთიან ყარაბაღში სირიული ხმეიმის ტიპის სერიოზულ სამხედრო-საჰაერო ბაზას ქმნის. 20 მილიონი უკვე ჩადო სტეფანაკერტში,



მთიან ყარაბაღში. რუსული სამხედრო ე.წ. საჰაერო კონტინგენტის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, რომელიც უკვე მოქმედებს, 20 მილიონი რუბლი პატარა თანხა არ არის. იქ სპეციალურ მოდულებს ქმნიან. ამას აკეთებენ სამხედრო ბაზების კონტექსტში.

როგორც ჩანს, რუსეთი შეეცდება მთელი ამ სამხედრო ბაზების სტრატეგიული კომუნიკაციური ხაზების გაფართოებას. ბოლო ინფორმაციით, რუსეთმა გაიყვანა ბალკანური ხაზი, რომელიც რუსულ გაზს თურქეთის გავლით ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებს მიაწვდის.

რუსეთმა უკვე აამუშავა სამხრეთ ნაკადი-2, გაიყვანა გაზსადენის ბალკანური მაგისტრალი თურქეთთან ერთობლივი ძალისხმევით. თურქეთის პირდაპირი მონაწილეობით რუსეთმა, ფაქტობრივად, უკრაინას გვერდი აუარა. თუ ჩრდილოეთ ნაკადი ჯერ არ არის მწყობრში, სამხრეთ ნაკადი თავისი ბალკანური ნაკადით უკვე მწყობრშია. დიდი ალბათობით, ამ წელს რუსეთმა შეიძლება დაასრულოს ჩრდილოეთ ნაკადი-2-ის ნავთობსადენის ამოქმედება, რაც რუსეთის რბილი ძალის გავლენას რეგიონში კიდევ უფრო გაზრდის. ამიტომ ეს ფაქტორიც გათვალისწინებული უნდა იქნეს.

***– სამხრეთ კავკასიაში რუსეთისა და თურქეთის გავლენა გაიზარდა. თუ არ ვცდები, თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მთიანი ყარაბაღის პრობლემა ბოლომდე უნდა გადაიჭრას აზერბაიჯანის სასარგებლოდ. იმ დროს, როდესაც რუსეთი სომხეთის ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი იყო, ეს განცხადება და რუსეთის სიჩუმე რას ნიშნავს?***

– რუსეთის სიჩუმე, პრინციპში, დიდს არაფერს ნიშნავს. ერდოღანის განცხადება გასაგებია. რუსეთმა და თურქეთმა გავლენის სფეროები გაინაწილეს. აზერბაიჯანმა დაიბრუნა შვიდივე ოკუპირებული რაიონი – მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანული ანკლავი, 1992 წლის სტატუსკვო და რუსეთმა და თურქეთმა თავიანთი გავლენის სფეროები გაინაწილეს. ეს ფაქტია. 130 თურქი სამხედრო მოსამსახურე მთიანი ყარაბაღის განაღმვით ოპერაციაში მონაწილეობს. რაც ყველაზე საინტერესო ფაქტია, შეიქმნა რუსეთ-თურქეთის ერთობლივი სამეთვალყურეო ცენტრი და თურქეთიც გარკვეულ მონიტორინგს ახორციელებს ე.წ. სამშვიდობო კონტინგენტის სახელით.

აზერბაიჯანი და თურქეთი იწყებენ ახალი სატრანზიტო კომუნიკაციის გაყვანას სომხეთის ტერიტორიის გავლით. უფრო მოკლე გზაა და მათთვის უფრო მისაღებია. ეს შეიძლება იყოს საქართველოს ალტერნატიული გზის პროექტი. ასეთი სტრატეგიული ინიციატივების განხორციელება გათვალისწინებულია 9 ნოემბრის შეთანხმებით. როგორც ჩანს, აზერბაიჯანი და თურქეთი რუსეთის დახმარებით აპირებენ, შექმნან სტრატეგიული სატრანზიტო დერეფანი, რომელიც აზერბაიჯანს დააკავშირებს ნახჭევანთან, ნახჭევნიდან კი – თურქეთს. ამ გზით სომხეთი პროექტში ჩაერთვება.

იგივე თუნდაც ბაქო-თბილისი-ყარსის ალტერნატიული სარკინიგზო მაგისტრალი შეიძლება შეიქმნას. გამორიცხული არ არის, მომავალში საუბარი იყოს ენერგეტიკულ მაგისტრალზეც.

***– დღეს ღიად და თავისუფლად საუბრობენ იმაზე, რომ აზერბაიჯანმა თავისი ტერიტორიული მთლიანობა აღადგინა. თუ აზერბაიჯანისთვის დასაშვებია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საქართველოსთვის რატომ არ არის დასაშვები?***

– ხორვატიას ჰქონდა შესაძლებლობა და აღიდგინა თავისი ტერიტორიული მთლიანობა. საქართველოს თუ აქვს ამის შნო, კი ბატონო, რა პრობლემაა. აზერბაიჯანს ჰქონდა შნო და აღადგინა თავისი ტერიტორიული მთლიანობა. მთლიანად არა, მაგრამ, რამდენადაც აღადგინა, ის ამ ეტაპზე მისთვის მისაღებია.

## მაკრონმა ივანიშვილს საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი მიანიჭა





საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის 2020 წლის 31 დეკემბრის განკარგულებით, საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერის ტიტული მიენიჭა.

საფრანგეთის პრეზიდენტის განკარგულებაში მითითებულია, რომ ბიძინა ივანიშვილი საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის დამფუძნებელი და საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრია.

საპატიო ლეგიონის ორდენი საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოა და მას საფრანგეთის პრეზიდენტი უდიდესი სამხედრო და სამოქალაქო მიღწევებისთვის ანიჭებს.

## „19 წლის ფეხბურთელი მიშო ახლოური ძმამ ტელევიზორის გამო მოკლა“

5 იანვარს, ღამით, თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირზე, 19 წლის ფეხბურთელი მიშო ახლოური 21 წლის ძმამ მოკლა.

ახლობლებს მომხდარის მიზეზებზე საუბარი უჭირთ. მეზობლები ამბობენ, რომ ძმები მამასთან ერთად ქირით ცხოვრობდნენ. მათ არაფერი სმენიათ ოჯახში კონფლიქტის შესახებ და ამბობენ, რომ ხმაური არც მკვლელობის ღამეს გაუგიათ.

დაჭრილი ახალგაზრდა ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.

პრაიმ ტაიმის ინფორმაციით, მკვლელობის სავარაუდო მოტივი ტელევიზორი გახდა.

– ორივე გადასარევი ბავშვი იყო, საშინელება მოხდა. აქ ქირით ცხოვრობდნენ. სახლში იყვნენ, ერთი ტელევიზორს უყურებდა. როგორც ჩანს, ცოტა ხმამაღალზე იყო ჩართული. უთქვამს, ტელევიზორს ჩაუწიეო, ამას არ ჩაუწევია და შეკამათდნენ, რის გამოც დაჭრა და ველარ გადაარჩინეს ბავშვი, – ყვება ერთ-ერთი მეზობელი.

მიშო ახლოური გიორგი შაქარაშვილის მეგობარი იყო. აი, რას წერდა გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის შემდეგ მიშო სოციალურ ქსელში:

„აღარ ვიცი, რა დავწერო, შაქარ, უშენოდ ყოფნა ძალიან მიჭირს, ძალიან მენატრები. დღითიდღე მემატება ეს ტკივილი და მონატრება შენი. შენი ხმა ჩამესმის სულ ყურში, როგორი კარგი ხმა გქონდა. როგორი განსაკუთრებული იყავი. ჩემი ოქრო კაცი იქნები მუდამ, სულ შენზე ვლაპარაკობ და ვიამაყებ, რო ესეთი ძმა მყავდა გვერდით. უზომოდ მიყვარხარ და ზემოთ შევხვდებით ოდესღაც, ჩემო ძმაო“.

მიშო ახლოური გიორგი შაქარაშვილთან ერთად სწავლობდა საბურთალოს აკადემიაში, ამჟამად კლუბ „გაგრაში“ იყო გადასული და იქ თამაშობდა.

„ამბები“ საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ პრესსამსახურის ხელმძღვანელ კახა მგელაძეს ესაუბრა:

– მიშოს მკვლელობის ამბავი ტელევიზიით გავიგე და ძალიან შეძრული ვარ. მომხდარზე არაფერი ვიცი. ძალიან კარგი ახალგაზრდა იყო,





ჩვენთან აკადემიაში 3 წელიწადი თამაშობდა და მისგან ცუდი არასოდეს გაგვიგია. ბოლოს სხვა კლუბში გადავიდა და ახლა ჩვენთან არ იყო. ძალიან დადებითი პიროვნება იყო, მოულოდნელია ეს ყველაფერი.

სოციალურ ქსელში უამრავი სტატუსი შემხვდა და ყველა გაოგნებულია მომხდარით. ჩემთვის რთულია ამ ამბის დაჯერება, ვერ ვიჯერებ, რომ ასეთი უბედურება შეიძლება მომხდარიყო. მიშო გიორგი შაქარაშვილის უახლოესი მეგობარი იყო და ძალიან განიცდიდა მის მკვლელობას. ძალიან განვიცდი.

***– კონფლიქტური იყო?***

– არ იყო კონფლიქტური. ჩვენთან აკადემიაში, პირველ რიგში, ყურადღებას აქცევენ, რამდენად დადებითი ადამიანია, ვინც ჩვენთან მოდის და აქ მართლა ისეთი სიტუაციაა, ყველა მეგობრობს ერთმანეთთან. ყველა ასაკობრივ გუნდებში არის დიდი სითბო და სიყვარული სუფევს. ერთი დიდი ოჯახია.

***– ახლა რომელ გუნდში თამაშობდა?***

– ახლა ჩვენთან არ იყო, როგორც ვიცი, „გაგრაში“ იყო გადასული და იქ თამაშობდა. ძალიან პერსპექტიული და აქტიური ფეხბურთელი იყო. სოციალურ ქსელში ახლა ყველას მიშოს სურათი უდევს, ყველას გული გვტკივა, ყველა შეწუხებულია.

***– რა გარემოში ცხოვრობდა, მის ოჯახურ მდგომარეობაზე რას იტყვით?***

– ოჯახურ მდგომარეობაზე არაფერი ვიცი. ყველას ასე ძალიან ახლოს არ ვიცნობ, რომ ვიცოდე ყველას ოჯახური მდგომარეობა. ძალიან მწყდება გული, რომ ასეთი ახალგაზრდა აღარ არის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული გ.ა. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ძმას – 2001 წელს დაბადებულ მ.ა.-ს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა მისი გადარჩენა ველარ მოხერხდა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

## „ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა 30 წლის კლიენტი ქალი სექსუალურად შეავიწროვა“

ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს ახალგაზრდა ქალზე ფსიქოლოგიურ ძალადობაში, სექსუალურ შევიწროებასა და ადევნებაში ადანაშაულებენ.




კავშირ „საფარის“ ინფორმაციით, რომელიც მსხვერპლის ინტერესებს იცავს, ისტორია 2020 წლის ივნისში იწყება, როდესაც სამართლებრივი კონსულტაციისას ადვოკატმა 30 წლის ქალი სექსუალურად შეავიწროვა. „საფარში“ ამბობენ, რომ ადვოკატი ახალგაზრდა ქალს პირად ფოტოებს და ვიდეოებს უგზავნიდა. მათივე ცნობით, ადვოკატი არაერთი ფორმით ცდილობდა, ის ურთიერთობაზე დაეთანხმებინა. უფლებადამცველის თქმით, მსხვერპლის უარს ადვოკატის მხრიდან შეურაცხყოფა მოჰყვა.

სასამართლომ ადვოკატის მიმართ შემაკავებელი ორდერი გამოსცა, რომლითაც მას ახალგაზრდა ქალთან მიახლოება ეკრძალება. თუმცა, მანამდე იყო ეპიზოდი, როდესაც ჯანიბეგაშვილი მსხვერპლთან სახლში მივიდა, სწორედ ამის შემდეგ მიმართა დახმარების თხოვნით ქალმა პოლიციას.

ლაშა ჯანიბეგაშვილი ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს და ამბობს, რომ ქალის ადვოკატებმა სასამართლოში ყალბი მტკიცებულებები წარადგინეს.

სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენის მიზნით „საფარმა“ სახალხო დამცველსა და ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მიმართა.

## ტრაგედია საჩხერეში

### კისტის თოფიდან გასროლით 8 წლის გოგონა დაიღუპა

საჩხერეში 8 წლის ბავშვი კისტის თოფიდან გასროლის შედეგად დაიღუპა. არსებული ინფორმაციით, ბავშვები თამაშობდნენ, როდესაც ერთ-ერთმა არასრულწლოვანმა კისტის თოფიდან შემთხვევით გაისროლა, რასაც 8 წლის გოგონას გარდაცვალება მოჰყვა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

## ქსნის კოლონიაში პატიმარი კორონავირუსით გარდაიცვალა

საქართველოს იუსტიციის მინისტრ გოჩა ლორთქიფანიძის განცხადებით, ქსნის დაწესებულების პატიმარი კორონავირუსით გარდაიცვალა.

ამის შესახებ მინისტრმა 6 იანვარს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც ლორთქიფანიძემ განმარტა, პატიმარი სიმპტომების აღმოჩენისთანავე სამოქალაქო კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა, სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.



– გვყავს გარდაცვლილი პატიმარი. მასთან დაკავშირებით ინფორმაცია გაჟღერებული იყო სპეციალური პენიტენციარული დაწესებულების მიერ პირველ იანვარს გაკეთებულ განცხადებაში. როგორც კი სიმპტომები დადასტურდა, ეს ადამიანი გადაყვანილ იქნა სამოქალაქო კლინიკაში და სამოქალაქო კლინიკაში უკვე მე-7 დღეს უფრო დაუმძიმდა მდგომარეობა. როგორც არის ჩვეულებრივ გათვალისწინებული პრაქტიკით, მოხდა აქტირება.

ეს არ არის მარტო ჩვენთან, პრაქტიკით ხშირად ხდება ამ საფუძვლით ადამიანის აქტირება. სამოქალაქო კლინიკაში მოხდა გარდაცვალება. ეს იყო ქსნის დაწესებულების პატიმარი, – განაცხადა ლორთქიფანიძემ.

## „დაჭრა 2 მოქალაქე, მათ ახლობლებს მანქანით დაედევნა და ქობულეთში დაცხრილა“

### პოლიციამ ა.ა. დააკავა



პოლიციამ გასული წლის ზაფხულში პარკ „ცაცინათელაში“ მომხდარ დაჭრაში ბრალდებული ძებნილი პირი დააკავა.

1980 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.ა. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის, ძალადობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის 2020 წლის აგვისტოდან იძებნებოდა.

„დანაშაულები 7-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგენილია, რომ ა.ა.-მ 2020 წლის 7 აგვისტოს, პარკი „ცაცინათელას“ ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღით 2 მოქალაქე დაჭრა. ამის შემდეგ, იგი ავტომანქანით დაედევნა დაჭრილი მამაკაცების ახლობლებს და ქობულეთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, მათი ავტომანქანის მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიჭრა, ა.ა. კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ა.ა. მომხდარ ფაქტზე იმავე დღეს ამხილეს და ბრალი დაუსწრებლად წარუდგინეს საქართველოს სსკ-ის 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით. ბრალის წარდგენის შემდეგ ა.ა.-ს მიმართ ძებნა გამოცხადდა.

პოლიციამ ძებნილი პირი მიმდინარე წლის 6 იანვარს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურში დააკავა. სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: „მაკაროვის“ სისტემის 2 პისტოლეტი, „WEЭHRAUCH MELLRЭCHSTADT“-ის მოდელის რევოლვერი, 3 მჭიდი, 47 ვაზნა და 2 დანა.

ა.ა.-ს მიმართ გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის, ძალადობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

## „პირადად თქვენ გეკუთვნით გამარჯვებულის ლავრა“

### ივერი მელაშვილმა ბიძინა ივანიშვილს ახალი წელი მიულოცა

კარტოგრაფების საქმეზე დაკავებულმა ივერი მელაშვილმა ბიძინა ივანიშვილს ახალი წელი წერილით მიულოცა. პოლიტპატიმარი ივანიშვილს სწერს, რომ პირადად მას ეკუთვნის გამარჯვებულის ლავრა. მელაშვილის თქმით, ხელისუფლების ყველა შტო მხოლოდ ერთი ადამიანის ხელშია მოქცეული და სასამართლო ხელისუფლებაც მხოლოდ მის დავალებებს ასრულებს. კარტოგრაფი მიიჩნევს, რომ მისი დაკავება პოლიტიკური მოტივით მოხდა, რაც ხელისუფლების ოპონენტების დევნაა.

„მინდა მოგილოცოთ დამდეგი 2021 წელი ბატონო ბიძინა, რამეთუ პირადად თქვენ გეკუთვნით გამარჯვებულის ლავრა.

საკუთარ თავზე გამოვცადე თქვენი მთავრობის და მართლმსაჯულების უსამართლობა – ამიტომაც ვზივარ ციხეში. მაგრამ, უფრო მთავარი სხვა რამეა. ჩემ წინააღმდეგ აღძრული საქმე ემსახურება ორ მიზანს: წინასაარჩევნო ტრიუკის ჩატარებას, პოლიტიკური ოპონენტების გასაშავებლად ბინძური და ულირსი მეთოდით და საქართველოს პარტნიორ ქვეყანასთან ურთიერთობების გაფუჭებას, ჩვენი მტრის – რუსეთის ფედერაციის საამებლად. ეს ორივე მიზანი უკიდურესად საზიანოა ჩვენი ქვეყნისთვის“, – ვკითხულობთ მელაშვილის წერილში.

## „საშინელება იყო, ზუსტად ამ მომენტს შევესწარი“

### 28 წლის დარინა კვერნაძე ქუთაისთან ავარიაში დაიღუპა

ქუთაისი-ხონის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევას 28 წლის ქალი ემსხვერპლა.

ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილი და ბენზინმზიდი შეეჯახნენ. თვითმხილველების თქმით, მსუბუქ ავტომობილს 28 წლის დარინა კვერნაძე მართავდა. ახალგაზრდა ადგილზე გარდაიცვალა.

– საშინელება იყო. ზუსტად ამ მომენტს შევესწარი. გოგონა მოდიოდა გადაჭარბებული სიჩქარით. ამ დროს გაზგასამართ სადგურზე, როგორც ჩანს, ბუნებრივ აირს ტუმბავდა ტრაილერი და გამოვიდა თუ არა, მაშინვე შეეჯახა მსუბუქი ავტომობილით მოძრავი მძღოლი.

როგორც თქვეს, ადგილზე გარდაიცვალა. გარდაცვლილი წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკიდანაა და ქუთაისში იყო გათხოვილი, მცირეწლოვანი შვილები დარჩა, – უთხრა „ამბებს“ თვითმხილველმა.

## ზუგდიდში მანქანა ველოსიპედისტს დაეჯახა და მოკლა

ზუგდიდში, კონსტანტინე გამსახურდიას გამზირზე, კლინიკა „გულთან“, ველოსიპედით მოძრავ 43 წლის კაცს ავტომობილი დაეჯახა, რის შედეგადაც ის ადგილზე დაიღუპა. გარდაცვლილის ცხედარი ქუთაისში ექსპერტიზაზე გადაასვენეს.

შს სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სსკ-ს 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## კახეთის გზატკეცილზე მანქანა მიკროავტობუსს დაეჯახა

### 3 ადამიანი დაშავდა

6 იანვარს ავარია მოხდა თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ბენზინგასამართ სადგურ „ვისოლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილი და სატვირთო-სამარშრუტო მანქანა შეეჯახნენ.

ავარიის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა. მათგან 1 არასრულწლოვანია. სამივე დაშავებული ინგოროყვას კლინიკაშია გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდართან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 267-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## ჯორჯიის შტატში სენატის არჩევნებში დემოკრატმა რაფაელ უორნოკმა გაიმარჯვა




ჯორჯიის შტატში აშშ-ის სენატის არჩევნების მეორე ტურში დემოკრატების კანდიდატმა რაფაელ უორნოკმა რესპუბლიკელი კელი ლეფლერი დაამარცხა.

უორნოკი ლეფლერს 1.2 პროცენტით ანუ დაახლოებით 50.000 ხმით უსწრებს.

რესპუბლიკელ მეტოქე დევიდ პერდუსთან შედარებით მცირე უპირატესობა აქვს დემოკრატ კანდიდატ ჯონ ოსოფსაც, რომელმაც არჩევნებში დაახლოებით 12.000-ით მეტი ხმა მოიპოვა.

აღნიშნული ორი მანდატი განსაზღვრავს, თუ რომელ პარტიას ექნება კონტროლი აშშ-ის სენატში.

იმ შემთხვევაში, თუკი არჩევნების მეორე ტურში დემოკრატი კანდიდატები გაიმარჯვებენ, კონგრესის ზედა პალატაში რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს თანაბარი რაოდენობის, 50-50-ზე, მანდატები ექნებათ, თუმცა, აშშ-ის კონსტიტუციის თანახმად, აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი სენატის თავმჯდომარეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ საკითხზე კენჭისყრისას ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში კამალა ჰარისს გადამწყვეტი ხმა ექნება.

## ნიდერლანდებში კორონავირუსის წინააღმდეგ მოსახლეობის ვაქცინაცია დაიწყო




ნიდერლანდებში პფაიზერის კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით მოსახლეობის ვაქცინაცია დაიწყო.

ადგილობრივი მედიის ცნობით, პირველი მოქალაქე ქვეყანაში, რომელსაც აცრა გაუკეთდა, მოხუცთა სახლის თანამშრომელი, 39 წლის სანნა ელკადირია. ნიდერლანდების ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ეროვნულმა ინსტიტუტმა 5 იანვარს განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე მოხუცთა სახლების 269.000-მდე თანამშრომლის ვაქცინაცია იგეგმება.

ნიდერლანდების მთავრობას ვაქცინაციის პროგრამის დაგვიანებით დაწყების გამო აკრიტიკებდნენ. ევროკავშირმა ვაქცინაციის კამპანია 27 დეკემბერს, პფაიზერის ვაქცინის დამტკიცებიდან რამდენიმე დღეში დაიწყო.

## სომხეთის პრეზიდენტს კორონავირუსი აღმოაჩნდა



სომხეთის პრეზიდენტ სარქისიანს კორონავირუსი აღმოაჩნდა.

სავარაუდოდ, პრეზიდენტი კოვიდით ლონდონში დაავადდა, სადაც ფეხზე ოპერაციის გასაკეთებლად ჩავიდა.

ამჟამად სარქისიანი ჰოსპიტალიზებულია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ორი შვილის დედას უცნობმა ფული აჩუქა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ ბრისბენის მცხოვრებმა ქალმა სავაჭრო ცენტრში უცნობი პირისგან საშობაო კონვერტი მიიღო ფულით.




ტნილ ტონკინი სავაჭრო ცენტრში თავის გოგონებთან – ცხრა წლის მეისთან და ექვსი წლის სკარლეტთან ერთად იმყოფებოდა.

– გვერდით ქალმა ჩაგვიარა. შემდეგ შეჩერდა, მოტრიალდა, მოვიდა და საშობაო კონვერტი გამომიწოდა. მან მითხრა: „შობას გილოცავთ. ამას ნუ გადააგდებთ“ – განაცხადა ტონკინმა. ქალმა და მისმა გოგონებმა კონვერტი გახსნეს და მასში მისალოცი ბარათი და 200 ავსტრალიური დოლარი აღმოაჩინეს. ტონკინმა წერილის და ფულის ფოტოსურათი სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

– იმედი მაქვს ეს მცირე საჩუქარი თქვენ შობის დღესასწაულს გაალამაზებს, – ეწერა წერილში.

ამის შემდეგ ტონკინმა თავისი გოგონები სხვა მაღაზიაში წაიყვანა, სადაც მათ თავის მხრივ 50 ავსტრალიური დოლარის კუპიურები უცნობებს დაურიგეს.

## უპატრონო ძაღლმა გადაგდებული ახალშობილი გადაარჩინა



ფილიპინების სიბონგას მუნიციპალიტეტში უპატრონო მაწანწალა ძაღლმა მოტოციკლისტი მიტოვებულ ახალშობილ ბავშვთან მიიყვანა.

36 წლის მოტოციკლისტის ჯუნრელა უენტეს რევილის ყურადღება შავი ფერის ძაღლის ყეფამ მიიქცია. მან გადაწყვიტა მოტოციკლი გაეჩერებინა და ძაღლს უკან გაჰყოლოდა. უპატრონო ცხოველმა მამაკაცი ქალაქის ნაგავსაყრელის მახლობლად მდებარე მდელოზე მიიყვანა, სადაც ბალახზე მტირალი ახალშობილი იწვა. ჩვილი პირსახოცში იყო გახვეული. მამაკაცმა ბავშვი აიყვანა და უახლოეს საავადმყოფოში მიიყვანა, ხოლო ამ ყოველივეს შესახებ პოლიციას აცნობა. პოლიცია ბავშვის დედის ვინაობას ადგენს, ხოლო თავად ჩვილი სოციალური მუშაკების მზრუნველობის ქვეშ იმყოფება.

## ამერიკელმა 17 წლის წინ გატაცებულ მანქანას მიაგნო

ამერიკის ვირჯინიის შტატის მკვიდრმა შემთხვევით იპოვა თავისი 17 წლის წინ გატაცებული ავტომობილი, 1969 წელს გამოშვებული შევროლე კამარო.

ტომი კუკის თქმით, მისი ნარინჯისფერი კამარო ავტოსახელოსნოდან 2003 წელს გაიტაცეს. მან გატაცების თაობაზე პოლიციას აცნობა და მათ რეგულარულად ეხმიანებოდა იმისთვის, რომ ავტომობილის ძებნა არ შეწყვეტილიყო.

– ვიცოდი, რომ დადგებოდა ის დღე, როდესაც ჩემს მანქანას დავიბრუნებდი, – ხაზგასმით აღნიშნა მამაკაცმა.



2020 წელს მეგობარმა კუკს 1968 წლის გამოშვება შევროლე კამაროს ყიდვაში დახმარება სთხოვა. როდესაც ისინი ავტოცენტრში მივიდნენ, კუკის ყურადღება მიიპყრო ავტოფარეხში მდგომმა მწვანე ფერის შევროლე კამარომ. მას გამყიდველმა განუმარტა, რომ თავდაპირველად ავტომობილი ნარინჯისფერი იყო და ის გადაღებეს.

კუკმა ხელსაწყოთა დაფაზე ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი ნახა და დაეჭვდა, რომ აქ რაღაც ისე ვერ იყო. ამის შემდეგ მან კაპოტის ქვეშ მანქანის უნიკალური კოდი შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ მისი ციფრები დაკარგული ავტომობილისას შეესაბამებოდა. ამერიკელი ამის შემდეგ პოლიციას დაუკავშირდა და მალე მანქანა უკან დაიბრუნა.

ასევე გაირკვა, რომ ამ 17 წლის განმავლობაში ავტომობილმა ოთხი მფლობელი შეიცვალა, რომლებიც მას აუმჯობესებდნენ და ახლა, კუკის თქმით, ის იმაზე გაცილებით უკეთესია, ვიდრე გატაცების დროს იყო.

## მერაბ გეგეჭკორი და მანანა გაბრიჭიძე დაშორდნენ



იუმორისტი მერაბ გეგეჭკორი და სტუდია „ინკოგნიტოს“ ხელმძღვანელი მანანა გაბრიჭიძე 15-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ. წყვილს ქალ-ვაჟი ნინი და ნიკოლოზი ჰყავს.

ინფორმაცია ამის შესახებ მანანა გაბრიჭიძემ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა და ცნობისმოყვარეების ინტერესიც დააკმაყოფილა:

– გავიგე, ადამიანებო, რომ გადის და გავიდა გადაცემა! გავიგე, რომ მერაბი ნახეთ ტელევიზორში. ბოდიშის მოხდას ნუ მაიძულებთ, რატომ არ ვუყურებ, დამიტოვეთ ამის უფლება.

არ ვიცი, გავიცინო თუ ვიტირო იმ ადამიანებზე, დიდი შეგნებით რომ მოჩვენებით თანაგრძნობას იჩენენ და ამ დროს თვალს შენკენ აპარებენ, როდის წაიქცევი. ნუ იქნებით, ადამიანებო, ასეთები, თორემ ნათქვამია, რასაც გასცემ, იმას იბრუნებო. ამიტომ გაიგეთ, ადამიანებო! დიახ, განვქორწინდით მე და მერაბი! დიახ 100%-იანი შეგნებით, ანუ დავრჩით შვილებისთვის მზრუნველი მშობლები და ეს ისე გავაკეთეთ, რომ გაგიკვირდებათ და არც ბლაგვი საგანი, არც იარაღი არ გამოგვიყენებიააა! უფრო მეტიც – შეურაცხყოფაც კი არ მიგვიყენებია ერთმანეთისათვის, ამიტომ ნუ დარდობთ: ერთმანეთს ვურეკავთ, ვკითხულობთ ცივილიზებულად, როგორც 21-ე საუკუნეს და, რაც მთავარია, ევროკავშირს შეეფერება.

დიახ, შევიცვალე! საკუთარი თავი გამახსენდა, დიახ, უკეთესად გამოვიყურები. მადლობა ყველას. მოჩვენებითია თუ გულწრფელი ეს მიწერ-მოწერები! მადლობა ყურადღებისათვის და ქვეტექსტებით დაკითხვებზე დროს ნუღარ დამაკარგვინებთ. 2 იანვარს, ბედობას დაიწყებოდა ჩვენი ერთად ცხოვრების მე-17 წელი, თუმცა ვფიქრობ, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ უკვე 8 თვეა, არაოფიციალურად ვიყავით დაშორებულები, ახლა განქორწინების ხელშეკრულებაც გავაფორმეთ, იმედია, ამ პასუხმაც დაგაკმაყოფილათ. გამგები გაიგებს! გამოდის, რომ 15 ბედნიერი წელი იყო ერთად და ყველაფერი დასრულდა. 2021 წელი ორივესთვის ახალი წიგნის ფურცელია და იმედია, ამ წიგნსაც ისე ჩავიკითხავთ... არც წავშლი არქივს და არც გავაქრობ წარსულს! ვისაც წარსულის დანახვა არ შეუძლია, ის მომავალს ვერ შექმნის. იყო უამრავი ლამაზი მოგონება, რომელსაც ვერასდროს და არასდროს არავინ წაშლის, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და ეს ორივემ ძალიან კარგად და დიდი შეგნებით გავიაზრეთ! მაპატიეთ, რომ ასე გადაგიშალეთ გული, მაგრამ, ვინც მიცნობს, კარგად იცის ჩემი ხასიათი! ჩირგვში არც ჯდომა მიყვარს და არც გადალაპარაკებ-გადმოლაპარაკება. იცხოვრეთ უბოროტოდ, ადამიანებო და ძალიან ბედნიერები იქნებით.

## მსოფლიო ვარსკვლავები დემნა გვასალიას სამოსით იწონებენ თავს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

აქვს, შემდეგ გადავაკეთებ და ძვირადღირებულ პროდუქტად ვაქცევ, რომელშიც ხალხი საკმაოდ დიდ თანხას იხდის. ჩემთვის ძალიან ამაღელვებელია.

***– რას ნიშნავს, როცა გაცვია დემნას სამოსი?***

– ერთგვარი სოციალური სიგნალია. ამბობ, რომ იცი, რა ხდება მსოფლიოში. ყოველთვის არსებობდა რამდენიმე ბრენდი, რომელიც მომენტის გამოძახილი იყო. 90-იანებში ასეთი ბრენდები იყო ჰელმუტ ლენგი და მარჯიელა. დღეს საკმარისია გეცვას ვეტმანი, ბალენსიაგა, სელინი, აკნე და მორჩა, სიგნალს იძლევი, ამბობ, რომ სწორ ტომში ხარ, იცი, რა ხდება შენ გარშემო. ხალხი ამაში იხდის ფულს.

***– როგორია თქვენი კლიენტი?***

– ძალიან კარგად ინფორმირებული. გასაოცარია, რამდენი რამ იციან ჩვენზე. მე რომ მოდაში არ ვმუშაობდე, მოდას ამდენ დროს არ დავუთმობდი და არც ამდენი რამ მეცოდინებოდა. იციან ყველა პროდუქტი, იციან, როდის გამოდის ახალი კოლექცია, იციან ბრენდის ისტორია. მე მათ უბერ თაობას ვუწოდებ. მიუხედავად იმისა, რომ ვაცმევ, როგორც ბალენსიაგას, ისე ვეტმანის კლიენტებს, სახელი „დემნა გვასალია“ ძალიან დიდი გახდა. თითქოს „დემნა გვასალია“ მესამე ბრენდია, რაც სახალისოა.

***– რას ნიშნავს ავთენტურობა?***

– როცა პროდუქტი ასოცირდება ბრენდთან, მაშინ არის ავთენტური ბრენდისთვის. მაგალითად, შანელის ტვიდი. არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ბრენდი გამოიყენებს ტვიდს. როცა ხედავ ტვიდს, ფიქრობ შანელზე. მოდაში ეს არის ავთენტურობა.

***– რა არის ვეტმანისთვის ავთენტური?***

– ირონია, გარკვეულ საკითხებზე კითხვების წამოჭრა და კულტურის ანარეკლად ყოფნა. ჩემთვის მოდა თანამედროვე სამყაროს სარკეა. რასაც ვაკეთებ, ხშირად ირონიულია, მაგრამ არსებობს ზღვარი ირონიას და ცინიზმს შორის და ვცდილობ, არ გადავკვეთო. ირონიით შესაძლებელია ძალიან მტკივნეული კითხვების დასმა.

***– კრიტიკას კითხულობთ?***

– შეხედეთ ედი სლიმანს, მასზე ყოველთვის საშინელ შეფასებებს წერდნენ, მაგრამ მან სან ლორანის გაყიდვები ოთხჯერ გაზარდა, რადგან ხალხს მოსწონს. ხალხის აზრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კრიტიკოსების.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მეგობრებმა უჩვეულო ტრადიციის წყალობით ჯეკპოტი მოხსნეს

ავსტრალიის ვიქტორიას შტატის ქალაქ მელბურნის გარეუბნის მკვიდრმა მეგობრებმა მრავალწლიანი ტრადიციის წყალობით ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნეს.



ქალის თქმით, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ ბოლო რამდენიმე წელია ის და მისი მეგობარი ლატარიის თამაშის დროს იყენებენ იმ რიცხვებს, რომელსაც ისინი ქუდში ჩაყრილი რიცხვებისგან ბრმად იღებენ.

– მთელი ამ ხნის მანძილზე ჩვენ ერთი და იმავე რიცხვების ნაკრებით ვთამაშობდით, – განმარტა ქალმა, – ის მისახელებდა თავის საყვარელ რიცხვებს, მე ვასახელებდი ჩემსას, შემდეგ მათ ქუდში ვყრიდით და შემდეგ ბრმად ვიღებდით ლატარიის ბილეთში ჩასაწერად.

ლატარიის თამაშის უჩვეულო მეთოდმა მეგობრებს მილიონი ავსტრალიური დოლარის მოგება მოუტანა. ქალმა უკვე გადაწყვიტა, თუ რაში დახარჯავს მოგების საკუთარ წილს. ის სახლის შეკეთებას და ახალი ავტომობილის ყიდვას გეგმავს.

## კენგურუმ მამაკაცი, რომელიც ბავშვების დაცვას ცდილობდა, ნოკაუტში ჩააგდო



ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატში კენგურუმ ნოკაუტში გაუშვა მამაკაცი, რომელიც საკუთარი შვილების დაცვას ცდილობდა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გამოაქვეყნა.

ინციდენტი 25 დეკემბერს, კათოლიკური შობის დღეს მოხდა. მიტჩელ რობინსონმა საკუთარ ეზოში მოზრდილი აგრესიული კენგურუ შენიშნა და მისი გაგდება გადაწყვიტა, რათა თავისი ბავშვების უსაფრთხოება უზრუნველეყო. მისი თქმით, ცხოველი რამდენიმე საათის განმავლობაში დახტოდა მის ეზოში და ორმოებს თხრიდა.

ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა ვიდეოზე აღბეჭდა, თუ როგორ აიღო მიწიდან მიტჩელმა რაღაც საგანი და კენგურუს მიმართულებით ისროლა. ამან ცხოველი კიდევ უფრო გააბრაზა, მამაკაცს მიეჭრა და თათების სახეში დარტყმით ძირს დააგდო. ამის შემდეგ კენგურუ გაიქცა. დაცემის შედეგად მამაკაცმა ხელი მოიტეხა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ლეო მესი: „მინდა, აშშ-ში ცხოვრება და თამაში გამოვცადო“

## „ბარსელონამ ყველაფერი მომცა“

ბარსელონის არგენტინელი შემტევი ლეო მესი ინტერვიუებს იშვიათად იძლევა. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი წელს იყო და ბარსას კაპიტანმაც ბევრ საინტერესო თემაზე ისაუბრა.

ცხადია, მთავარი საკითხია, დარჩება თუ არა მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ ბარსელონაში. როგორც უკვე ბევრჯერ დაიწერა, რომ მესის კლუბთან კონტრაქტის ვადა 2021 წლის 30 ივნისს ეწურება. გასულ ზაფხულს მესი გუნდიდან წასვლას ცდილობდა, კლუბის იურისტებმა კი ხელშეკრულებაში სათავისო პუნქტი იპოვეს და ფეხბურთელის „კამპ ნოუზე“ დატოვება შეძლეს...

***— მედიასთან იშვიათად საუბრობ.***

— არ ვარ ის ადამიანი, რომელიც პრესაში ბევრს საუბრობს. მირჩევნია, ახლობელ ადამიანებთან ვისაუბრო.

***— საშობაო არდადეგები სად გაატარე?***

— ჩემს ოჯახთან ერთად არგენტინაში ვიყავი.

***— მშობლები მოინახულე?***

— დიახ. როდესაც ბავშვი ვიყავი, ფეხბურთისთვის ყოველთვის რაღაცას ვითხოვდი — მაისურს, ბურთს, ბუცებს... მშობლები ჩემ გასაბედნიერებლად ყველაფერს აკეთებდნენ. იმ საჩუქრის მიღებაც კი მახსოვს, რომელიც ძალიან ძვირი ღირდა — ჩემპიონატის ოფიციალური ბურთი. მამა და დედა ჩემთვის ყოველთვის ყველაფერს საუკეთესოს აკეთებდნენ.

***— ფლეისტეიშენს ისევ თამაშობ?***

— ახლა უფრო ჩემი შვილი, ტიაგო თამაშობს. ადრე მთელი დღე ვთამაშობდი, მისი დაბადების შემდეგ შევწყვიტე. ახლა ამას დროდადრო ვაკეთებ.

***— რომელი სპორტსმენით ხარ მოხიბლული?***

— ძალიან ბევრი ბრწყინვალე ათლეტი არსებობს, მაგრამ რაფაელ ნადალი ჩოგბურთში და კრიშტიანუ რონალდუ ფეხბურთში სამაგალითონი არიან.

***— ბარსელონაზე რას იტყვი?***

— მოკლედ ვიტყვი — ბარსელონა ჩემი ცხოვრებაა.

***— რა მოგცა ბარსელონამ?***

— ყველაფერი მომცა. ბარსელონაში უფრო დიდხანს მიცხოვრია, ვიდრე არგენტინაში. ყველაფერი იქ ვისწავლე. კლუბმა ჩამომაყალიბა როგორც ფეხბურთელად, ასევე პიროვნებად.

***— მიმდინარე სეზონში გუნდს უჭირს, ვერ გამოიყურება ისე, როგორც გასულ წლებში. შენც გეტყობოდა ხასიათზე.***

— უკვე კარგად ვარ. ხასიათზე მოსასვლელად გარკვეული დრო დამჭირდა. მონდომებული ვარ და მსურს ვიბრძოლო ყველა ტიტულისთვის. ხალხი ისე საუბრობს, რომ არაფერი იცის. ისინი სიახლეებს თხზავენ და შემდეგ ტელევიზიაში ან გაზეთებში უშვებენ. ბოლო დროს ბევრი ტყუილი დაიწერა. კი, კლუბი მძიმე სიტუაციაშია. ეს ყველასთვის რთულია. ძალიან გაგვიჭირდება იმ სიმაღლეზე ყოფნა, რომელზეც ადრე ვიყავით.

***— ანუ ხალხისა და მედიის აზრი გაღიზიანებს?***

— ხალხი რას ამბობს ჩემზე, არ მადარდებს. ყველაფერი, რასაც ისინი ამბობენ, მათი აზრია.

***— ბარსელონაში თითქმის ბავშვი ჩახვედი.***

— ეს ძალიან რთული პერიოდი იყო, რადგან 13 წლის ვიყავი და ყველაფერს ჩემ ზურგს უკან ვტოვებდი — მეგობრებს, ქვეყანას... მივდიოდი იქ, სადაც არავინ მიცნობდა.

***— როგორი იყო მესი მაშინ?***

— მორცხვი ვიყავი. მხოლოდ ჩემი ოცნების ასრულებაზე ვფიქრობდი.

***— ახლა როგორია შენი ცხოვრება?***

— ჩვეულებრივი და ზოგჯერ მოსაწყენიც. ვიღვიძებ, ვსაუზმობ, ბავშვები სკოლაში მიმყავს, ვვარჯიშობ და უკან ვბრუნდები.

***— ქუჩაში ალბათ ბევრი ადამიანი გაწუხებს.***

— ზოგჯერ მინდა ხოლმე, რომ







ცნობადი არ ვიყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შვილებთან ერთად ვარ. თუმცა ყოველთვის მადლობელი ვიქნები მათი, ვინც ჩემ მიმართ სიყვარულს გამოხატავს.

***— ოდესმე რონალდუთი ფლეისტეიშენი გითამაშია?***

— არასოდეს. გუნდებს მხოლოდ შემთხვევითობის პრინციპით ვირჩევ.

***— ცარიელ სტადიონზე თამაშს შეეგუე?***

— გულშემატკივრების გარეშე თამაში საშინელებაა. სავსე სტადიონი ყველაფერს უფრო აბალანსებს. „კამპ ნოუზე“ მისვლა ადრინდელს აღარ ჰგავს. იქ არავინაა.

***— და ახლა კალენდარიც უფრო გადატვირთულია?***

— სპორტსმენზე არავინ ფიქრობს. ჩანს, რომ ეს უფრო ეკონომიკის ინტერესია, ვიდრე სპორტისა თუ თამაშის.

***— მარადონას გარდაცვალება როგორ გაიგეთ?***

— იმ დროს სახლში ვიყავი და შეტყობინება მამაჩემისგან მივიღე. მაშინვე ტელევიზორი ჩავრთე და ყველაფრის გარკვევა დავიწყე.

***— და პირველი გოლი, რომელიც გაიტანე, მარადონას მიუძღვენი.***

— ნიუელს ოლდ ბოისის ძველი მაისური კლუბის საჩუქარი იყო... ვგრძნობდი, რომ იმ მაისურის გამოსაყენებლად და დიეგოსთვის პატივის მისაგებად სწორი დრო იყო.

***— მარადონა სპორტის შემდეგ აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკაში. მესი როგორი იქნება?***

— მარადონა პოლიტიკურ არჩევანს ღიად აფიქსირებდა, მე კი ჩემი პოლიტიკური შეხედულება არასდროს გამიმჟღავნებია. ეს ის არ არის, რაც თავს უკეთ მაგრძნობინებს. მე ფეხბურთელი ვარ და, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ხედვები მაქვს, ამას პირადად შევინახავ. თავს ასე უფრო უკეთ ვგრძნობ.

***— ბაიერნთან (2:8) წაგებას გვერდს ვერ ავუვლით.***

— ეს მძიმე მარცხი იყო. ასეთ წაგებას არ ველოდით და ამან გული გვატკინა.

***— არის ზეწოლა იმის გამო, რომ მსოფლიოში საუკეთესოს გიწოდებენ?***

— ამის ყოველ თამაშში ჩვენება მიწევს. უბრალოდ, თითოეულ თამაშზე კონცენტრირებული ვარ და არ ვფიქრობ იმაზე, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მიმიჩნევენ.

***— ზაფხულში ბარსელონიდან წასვლა გადაწყვეტილი გქონდა.***

— დიახ, ეს იყო ჩემი აზრი და წასვლა მინდოდა.

***— ამ გადაწყვეტილებას ყველა ადეკვატურად ვერ შეხვდა.***

— მეც მაწუხებდა ის ფაქტი, რომ კლუბში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ეჭვი ეპარებოდათ იმაში, რომ ბარსელონა მიყვარდა... ვგრძნობდი, რომ საოცარი პერიოდი დასრულდა და დრო იყო, კლუბი დამეტოვებინა, რომელმაც ძალიან ბევრი რამ მომცა. ტიტულების მოგება და ჩემპიონთა ლიგაზე ბრძოლა მინდოდა. ვგრძნობდი, რომ ცვლილებების დრო იყო. ამის შემდეგ პრეზიდენტმა ჩემი სახის უარყოფითი სურათის შექმნა დაიწყო. ჩემთვის იოლი არ იყო იმის თქმა, რომ კლუბის დატოვება და ქალაქიდან წასვლა მინდოდა. ჩემს ოჯახს აქ დარჩენა უნდოდა. ბარსელონა მათი სახლია, მაგრამ მე ნამდვილად ვგრძნობდი, რომ წასვლის დრო იყო. ლუის სუარესის გაშვებას ჩემს გადაწყვეტილებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მისი პირდაპირ კონკურენტ გუნდში გაშვება გიჟური იდეა იყო.

***— კლუბის პრეზიდენტის მიმართაც არ გქონდა კარგი დამოკიდებულება.***

— ბართომეუმ ბევრ რაღაცაში მომატყუა. მირჩევნია, ამას არ ჩავუღრმავდე, რადგან პირად თემებზე საუბარი არ მიყვარს. თუმცა, შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ ბევრი რამ მოხდა.

***— დარჩენა ადვოკატებმა გირჩიეს?***

— არა, თუმცა მათთან ვისაუბრე. მათ ისიც კი მითხრეს, რომ სასამართლო დავას მოვიგებდი, მაგრამ ეს იყო უკანასკნელი რამ, რის გაკეთებაც მინდოდა.

***— ბარსელონაში ყველაზე მეტად რომელ პერიოდს გაიხსენებ?***

— გვარდიოლას მიერ თამაშებისთვის მომზადების მეთოდი განსაკუთრებული იყო. ლუის ენრიკესაც მუშაობის ბრწყინვალე გზა ჰქონდა. გამიმართლა, რომ მათთან მუშაობა მომიწია.

***— კუმანი იმავეს ვერ ახერხებს?***

— ეს ყველაფერი კუმანისთვის რთულია, რადგან ახლა გარდამავალი ეტაპია. გუნდში ახალი ფეხბურთელები და ნიჭიერი ტალანტები არიან. მათი შეთამაშება რთულია.

***— ბარსელონის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებ?***

— დარწმუნებული არ ვარ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ. იმას, ვინც მოვა, კლუბი მძიმე მდგომარეობაში დახვდება. მან უნდა იმუშაოს იმაზე, რომ გუნდი დააბრუნოს იქ, სადაც იყო. ჩემთვის ჯერ არც ერთ კანდიდატს არ დაურეკავს.

***— დარჩებოდი გუნდში, თუ მწვრთნელად ხავი მოვიდოდა ან ნეიმარი დაბრუნდებოდა?***

— მოვიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდება. გადაწყვეტილებას ზაფხულში მივიღებ. კლუბი ახლა ფინანსურად რთულ სიტუაციაშია, ამიტომ ნეიმარის მოყვანა სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

***— როგორც ვიცით, სუარესთან და ნეიმართან ურთიერთობას ისევ აგრძელებ.***

— „ვოტსაპში“ სუარესთან და ნეიმართან სასაუბრო ჯგუფი მაქვს. ლუისს ყოველდღე ვესაუბრები. ნეიმარს ბოლოს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის წილისყრის შემდეგ ვესაუბრე.

***— მათი წასვლის შემდეგ გასახდელში ყველაზე მეტ დროს ვისთან ატარებ?***

— გასახდელში ყველაზე მეტ დროს იმ ფეხბურთელებთან ერთად ვატარებ, რომლებიც კლუბში უკვე არც თუ ისე ცოტა დროა იმყოფებიან. გრიზმანთანაც დროს კარგად ვატარებ.

***— სხვა გუნდებიდან ხომ არ გაქვს რამე წინადადებები?***

— სხვა კლუბებთან მოლაპარაკებების დაწყებას არ ვაპირებ. ჩემი გეგმა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ კლუბისთვის ყველაფერი გავაკეთო, რაც შემიძლია.

***— და მაინც, სად ისურვებდი თამაშს?***

— აშშ-ში. მინდა, გამოვცადო იქ ცხოვრება და ვითამაშო იქაურ ჩემპიონატში. თუმცა, საბოლოო ჯამში, მიზანი ბარსელონაში დაბრუნება იქნება. ამაზე მოკლევადიან პერსპექტივაში არ ვფიქრობ. უბრალოდ, მინდა ვნახო, როგორ დასრულდება სეზონი.

***— რეალში ან ატლეტიკოში თუ გადახვიდოდი?***

— ეს არც ერთ შემთხვევაში არ მოხდება.

***— კარიერის დასრულების შემდეგ რას ფიქრობ?***

— წარმოდგენა არ მაქვს, რას გავაკეთებ შემდეგ. თუმცა ყველაფერი ფეხბურთთან არის დაკავშირებული, მაგრამ საკუთარ თავს მწვრთნელად ვერ ვხედავ. შესაძლოა, სპორტული დირექტორი ვიყო. მთელი ჩემი ცხოვრება ამ ქალაქში გავატარე, კარგი და ცუდი პერიოდი აქ გამოვიარე. უბრალოდ, უნდა მოვიცადოთ და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

## დინამო შევსებას ამსტერდამიდან და მარტვილიდან იღებს

საქართველოს ჩემპიონმა თბილისის დინამომ 2 ფეხბურთელი დაიმატა. როგორც დედაქალაქური გუნდის ვებგვერდი იტყობინება, ნიდერლანდელი ფაბიან სპორკსლეიდი და ლევან წოწონავა ქართული ფეხბურთის ფლაგმანის ღირსებას დაიცავენ.

27 წლის სპორკსლეიდმა დინამოსთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფაბიანი ამსტერდამის აიაქსის აკადემიის აღზრდილია და კარიერაც ამ გუნდში დაიწყო. შემდეგ კი ტილბურგში, ლუპა კასტელიში, ბრედასა და ვალვაიკში ითამაშა.





23 წლის ფეხბურთელი ლევან წოწონავა მარტვილის მერანის აღზრდილია და დასრულებულ სეზონში სწორედ ამ კლუბის ღირსებას იცავდა. კლუბთან მანაც 2– წლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

წოწონავამ გასულ სეზონში ეროვნულ ლიგაში 2-ში ჩატარებულ 18 მატჩში 6 გოლი გაიტანა და 6 საგოლე პასიც შეასრულა.

***მოამზადა***
***მიხეილ ჟორჟოლიანმა***

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. კუთხე საქართველოში; 3. საცირკო ნომერი ჯამბაზების მონაწილეობით; 4. ბურთის მსგავსი საფრენი აპარატი; 5. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 6. აზიის მთიანეთში გავრცელებული თოვლის ჯიქი; 8. დაზვერვის საიდუმლო თანამშრომელი; 11. ამერიკის აღმომჩენი ესპანელი ზღვაოსანი; 14. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 15. თბილისში ქანდაკება „მზეჭაბუკის“ ავტორი; 16. თვალის დაავადება – სიელმე; 17. კლდეში ნაკვეთი ქალაქი ადიგენის რაიონში; 19. ჰაერში დაგროვილი შესქელებული წყლის ორთქლი; 21. ფრანგი ფიზიკოსი, თერმოდინამიკის ფუძემდებელი; 22. მოედანი სამხედრო-სამწყობრო ვარჯიშებისთვის.

**თარაზულად:** 1. რაიმე სადავო საკითხის საჯარო განხილვა; 5. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 7. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 9. სამხედრო მრეწველობის გადაყვანა არასაბრძოლო პროდუქციის წარმოებაზე; 10. ილუსტრირებული სარეკლამო ბროშურა; 12. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 13. უდაბნო ჩილეში; 16. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 17. მამალი თხა; 18. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 20. ბიბლიური პატრიარქი, სიცოცხლის ხანგრძლივობის სიმბოლო; 22. მუზეუმი მადრიდში; 23. კათოლიკური დედათა მონასტრის წინამძღვარი; 24. ზიარებისთვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი წითელი ღვინო; 25. ქიმიური ელემენტი, ინერტული აირი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პრიმატოსი; 2. პოლგარი; 3. პიექსი; 4. ჰავრი; 5. ანხელი; 11. ბასტრი; 12. ფროიდი; 14. მოლი; 16. კოსტავა; 17. კარტეჩი; 19. მენისკი; 21. ჯაყვა; 22. მზისა.

**თარაზულად:** 6. ბრეტიორი; 7. დუაოენი; 8. როდეო; 9. ქაჯაია; 10. სოტბი; 13. ასთმა; 15. სკეიტბორდი; 18. დიადემა; 20. აუდი; 21. ჯილაგი; 23. კათალიკოსი; 24. ჩაჩავა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. იღუმენი; 3. რეაქტორი; 4. აკვარიუმი; 5. წალკა; 6. იარუსი; 8. სტენდი; 11. მარაბდა; 14. ოფთალმოლოგი; 15. ჟანგბადი; 16. კორონაცია; 17. პილონი; 19. სინათლე; 21. განდი; 22. ბზობა.

**თარაზულად:** 1. გიორგობა; 5. წავი; 7. ბესონი; 9. ზურაბიშვილი; 10. რამზესი; 12. ესტრადა; 13. ქლუხორი; 16. კადილაკი; 17. პაბი; 18. ისტრი; 20. სიმენონი; 22. ბრაგა; 23. პალანგა; 24. ციროზი; 25. დინგო.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3028

ევრო — 4.0605

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5209

100 რუსული რუბლი — 4.5061

## ამინდის პროგნოზი 7 იანვრისათვის




## მსოფლიო ვარსკვლავები დემნა გვასალიას სამოსით იწონებენ თავს






ქართველი დიზაინერის დემნა გვასალიას სამოსით სულ უფრო მეტი ცნობილი ადამიანი ინტერესდება. პოპვარსკვლავი ჯესი ჯეი, ამერიკელი რეპერი ლილ უეინი, რუსი რეპერი ელჯეი, ესპანელი ფეხბურთელი სესკ ფაბრეგასი, ამერიკელი კალათბურთელები პოლ ჯორჯი და დევინ ბუკერი, ასევე ამერიკის პირველი ლედი მელანია ტრამპი დემნას მიერ შექმნილი სამოსით იწონებენ თავს.

დემნას სამოსის ასეთი პოპულარობის მიუხედავად, ხალხი ხშირად ამბობს, რომ ისინი უშნოა, რასაც ქართველი დიზაინერი ასე პასუხობს:

— ეს ჩემთვის კომპლიმენტია, რადგან ვფიქრობ, რომ მოდა არის იმ გამყოფი ხაზის პოვნა, როდესაც რაღაც ხდება ლამაზიდან უშნო ან პირიქით. მე მომწონს პროცესი, როდესაც რაღაც იაფფასიანს ვიღებ, რაღაც ისეთს, რასაც ყოველდღიურობაში ფასი არ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## მიხეილ ზაქარიაშვილი: „რა პროვინციალიზმია, რა უბედურებაა“



მომღერალი და კომპოზიტორი მიხეილ ზაქარიაშვილი ქართული ტელევიზიების გადაცემებს აკრიტიკებს:

— მახსოვს, გოგი ცაბაძე წელიწადში ერთხელ ტელევიზიით გამოჩნდებოდა, ახალ წელს ერთ სიმღერას იმღერებდა და მთელი საქართველო მღეროდა იმ სიმღერას წლების განმავლობაში! ის იყო კომპოზიტორი და ესენი, არ ვიცი, ზოგიერთები ვინ არიან? რას იჭიმებ– იგრიხებ- იჯგიმებიან ზოგ-ზოგიერთები, რა ხდება? რა ტელეეკრანის ხურუშიანები გახდნენ, რა პროვინციალიზმია, რა უბედურებაა, ყველა გადაცემაში ყველაფერჩიკები არიან. მოკლედ, სირცხვილია, რა!

## გელა დაიაური: „სირცხვილად აღარაფერი ითვლება“



პოეტი გელა დაიაური თანამედროვე ცხოვრების ორომტრიალში მთავარი ფასეულობების დაკარგვაზე წუხს:

— შობის მარხვაში არასამარხვო სუფრებს ვშლით ოჯახებში, ჩვენს გულებში სიყვარულისთვის ანუ უფლისთვის ადგილი აღარ დავტოვეთ. აგვიყოლია „თანამედროვე“ ცხოვრების ორომტრიალმა და „თავისუფლებამ“. სირცხვილად აღარაფერი ითვლება. ეს არის ჩვენი „თავისუფლება“. გაბატონდა შური, სიძულვილი, ამპარტავნობა, „საგანთმოყვარეობა“ და მერე ინტერნეტში სურათების ფრიალი.

როცა გვიჭირს, უფალი მხოლოდ მაშინ გვახსენდება და ცუდი ის არის, რომ ვერ ვგრძნობთ, ამ ყველაფრის გამო ვისჯებით და ისჯება ერი და ქვეყანა, ისჯება დედამიწა. ამას ჩემს თავსაც ვეუბნები. იქნებ დროა, დავფიქრდეთ, ნებისყოფა გამოვაღვიძოთ, უფლისკენ მივტრიალდეთ.

ახალი, სულიერი ცხოვრების დაწყების, სიყვარულის, ერთგულების, გულისხმიერების, ჯანმრთელობის, სიცოცხლის და უფლისკენ შეტრიალების წელი გვქონოდეს! მიყვარხარ, სამშობლოვ და სამყაროვ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



### 7 იანვრისათვის

**ვერძი** — არ იაქტიუროთ. არასასიამოვნო ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. **კურო** — ვარსკვლავები დიდ გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალურ სფეროშიც წარმატებას მოიპოვებთ. **ტყუპები** — შესაფერისი დღეა ახალი საქმის დასაწყებად. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **კირჩხიბი** — ძველი, დავიწყებული პრობლემები კვლავ წამოტივტივდება. მოვლენები საღად შეაფასეთ. რეალობას ნუ მოსწყდებით. **ლომი** — ნუ იჯიუტებთ. თუ ვითარება მოითხოვს, კომპრომისი გამართლებულია. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. **ქალწული** — ახალი ნაცნობობა ან მოულოდნელი შეხვედრა თქვენს საქმეებზე ნეგატიურად აისახება. ემოციები აკონტროლეთ. **სასწორი** — ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. დღეს საოცრად გაგიმართლებთ ნებისმიერ სფეროში. **მორიელი** — პირად ცხოვრებაში პრობლემებს გადააწყდებით. თქვენი არავის ესმის. **მშვილდოსანი** — ძალზე წარმატებული დღეა. ყველა ახალი წამოწყება გაამართლებს. **თხის რქა** — ნუ იქნებით ზედმეტად ჩაკეტილი. გარშემომყოფებს გული გაუხსენით. სიზმარი აგიხდებათ. **მერწყული** — დაწყებული საქმე დროულად დაამთავრეთ. საპირისპირო სქესთან სერიოზული კონფლიქტია მოსალოდნელი. **თევზები** — საქმიან სფეროში ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ. შესაძლოა, ძალზე საინტერესო შემოთავაზება მიიღოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

საახალწლო სუფრა. ოჯახის უფროსი სადღეგრძელოს ამბობს:

— მინდა საახალწლო სადღეგრძელო ვთქვა.

დიასახლისი:

— შენი ჭირიმე, მხოლოდ შარშანდელივით არ თქვა, რომ უჩვეულო და დასამახსოვრებელ ახალ წელს ისურვებდი!

●●●

ბარში შესული მამაკაცი ხმამაღლა იძახის:

— ყველა პოლიტიკოსი ნაძირალაა!

ამ დროს ერთ-ერთი მაგიდიდან მოხეული მუტრუკი წამოდგება და ეუბნება:

— გირჩევნია შენი სიტყვები უკან წაიღო!

— შენ რა, პოლიტიკოსი ხარ?

— არა, ნაძირალა!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— როგორ ჩაიარა წლევანდელმა კორპორატიულმა?

— ისე რა, ერთი სიმპათიური ნიღაბიც კი არ ყოფილა.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— იცი, ძვირფასო, საახალწლო საჩუქრად ძვირფასი ქურქი გიყიდე ჩემთვის საჩუქრად... და შენ რას მაჩუქებ?

— ვერ გავიგე? ჩემთვის საჩუქრად, შენთვის იყიდე?

— ოჰ, როგორ არ გესმის! ახლა შობამდე ტვინს აღარ შეგიჭამ!

●●●

ერთი უცხოპლანეტელი მეორეს ეკითხება:

— რა ახარებთ ასე დედამიწელებს?

— დედამიწამ მზის გარშემო ერთი წრე გაიარა.

— ხომ ვამბობდი, რომ დედამიწელები გონიერი არსებები არ არიან!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— როგორ ჩაიარა ახალი წლის ღამემ?

— არ ვიცი, ჯერ არ მოუყოლიათ...

●●●

სახლის ტელეფონი რეკავს. ცოლი ყურმილის ასაღებად მიდის და ქმარი ეუბნება:

— თუ მე მიკითხეს, უთხარი, რომ სახლში არ ვარ.

ცოლმა ყურმილი აიღო და პასუხობს:

— დიახ, გისმენთ. არა, ქმარი სახლშია...

ქმარი:

— ხომ გთხოვე...

— შენ არ გკითხულობენ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## პოჩეტინო: „პსჟ-ში ახალ ფეხბურთელებს მივესალმები“



პსჟ-ს ახალმა მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ გუნდის გეგმებზე ისაუბრა და თქვა, რომ მიესალმება გუნდში ახალი ფეხბურთელების გადმოსვლას და ამაზე აუცილებლად იმუშავებს:

— არ ვიცი, ვინ იქნება პსჟ-ს სატრანსფერო პრიორიტეტი, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ გუნდის გაძლიერებაზე ვიმუშავებ და ყველა მაღალი დონის მოთამაშეს ხელგაშლილი შევხვდები. თუ ეს მესი იქნება, ძალიან ბედნიერი ვიქნები.

## მიკელ არტეტა: „ოზილს შანსი მიეცემა“




ლონდონის არსენალის მთავარმა მწვრთნელმა მიკელ არტეტამ განაცხადა, რომ მესუტ ოზილს შანსს აუცილებლად მისცემს, მიუხედავად იმისა, რომ ოზილი ბოლო პერიოდში ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება:

— ოზილს მეტი დრო სურს და ამის გამო უკმაყოფილოა, თუმცა მან უნდა გაითვალისწინოს, რომ არსენალში მაღალი კონკურენციაა. მომავალში მას აუცილებლად მივცემ შანსს და მინდა, რომ ოზილმა არსენალში გააგრძელოს კარიერა.

## გვარდიოლა: „კორონავირუსმა ბევრი პრობლემა შეგვიქმნა“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ კორონავირუსზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ დაავადებამ მის გუნდს ბევრი პრობლემა შეუქმნა და სიტის არასტაბილური თამაშის ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ ეს არის:

— ბევრმა ფეხბურთელმა ვირუსი გადაიტანა და ამის გამო საკადრო პრობლემები გვქონდა. გარდა ამისა, ვირუსის შემდეგ მოთამაშეებს უჭირთ ოპტიმალური ფორმის აღდგენა და ესეც, ბუნებრივია, შედეგზე ცუდად აისახება. იმედი მაქვს, მომავალში მდგომარეობა გამოსწორდება.

## „ბარსელონას“ შეუძლია, დეპაი იაფად შეიძინოს




„ბარსელონა“ მემფის დეპაის ტრანსფერს, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში დაასრულებს და შესაძლოა, კატალონიელებმა მხოლოდ 8 მილიონი გადაიხადონ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ დეპაის ზაფხულში ლიონთან კონტრაქტი უმთავრდება და ამ შემთხვევაში ის ბარსელონაში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა.

დეპაიმ უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ კარიერის გაგრძელება ბარსელონაში სურს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ბასილაშვილის მოგების მოლოდინში

ზედიზედ 11 შარშანდელი მარცხის შემდეგ 7 იანვარს კორტს ანტალიაში დაუბრუნდება საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი.

ანტალიაში ძლიერ შემადგენლობას არ მოუყრია თავი. ამის დასტურია ისიც, რომ რეიტინგში მე-40 ჩოგანი ბასილაშვილი ტურნირზე მე-6 ნომრად არის განთესილი. ტურნირის საპრიზო ფონდი კი 361.800 ევროა.



პირველ წრეში 28 წლის ქართველის მეტოქე იტალიელი ანდრეა არნაბოლდი იქნება, რომელიც რეიტინგში 267-ე ჩოგანია. მისი ძლევის შემთხვევაში, ბასილაშვილი მეტოქე თურქ ალტუგ ჩელიკბილეკსა (309-ე ჩოგანი) და პოლონელ კასპერ ჟუკს (262-ე) შორის გამარჯვებული იქნება.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენებურს მშვენიერი ბადე ერგო და მინიმუმ 2 ეტაპი უნდა გაიაროს, შემდეგ კი მისი მეტოქე, სავარაუდოდ, ავსტრალიელი ალექს დე მინორი (23-ე) უნდა იყოს. ცხადია, თუ თავად კუნძულელმა არ მოინდომა რამე სენსაციის გამოცხობა.

ქართველი ჩოგბურთელი წყვილთა შეჯიბრებაშიც მიიღებს მონაწილეობას და დუეტში გერმანელ ანდრე ბეგემანთან გავა კორტზე. მეტოქეებად კი მასპინძლები უმუთ აკოინი და მერტ ნაჩი ტურკერი ეყოლებათ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 2. ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კომპანია; 3. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 4. ტროპიკული ხილი; 5. ღომში ჩახარშული სულგუნისგან მომზადებული მეგრული კერძი; 11. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 12. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 14. დემონი არაულ ფოლკლორში; 16. ატომგულის შემადგენელი დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი; 17. ბეწვიანი ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსასხამი; 19. ძლიერ ფეთქებადი ნივთიერება; 21. ბრიტანელი მწერალი, რომან „აივენგოს“ ავტორი; 22. პურეული მცენარე.

**თარაზულად:** 6. ესპანეთში მოთამაშე საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე; 7. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 8. ერისთავის პიესა; 9. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 10. ყველაზე წყალუხვი მდინარე აფრიკაში; 13. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 15. ამერიკელი ზანგების სასულიერო ჰიმნი; 18. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 20. აბრეშუმის ჭია; 21. იაპონური ციფრულ-ლოგიკური გასართობი თავსატეხი; 23. სისხლის წნევის აწევა; 24. შაქრიანი დიაბეტის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

